ახლა მაინც დაიჯერებთ?!

ევროპის შვიდი ფსიქიატრიული კლინიკის სკანდალური დასკვნა და პორნოგრაფიული შინაარსის სამოყვარულო ფილმები სააკაშვილის მონაწილეობით

2

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 1 აგვისტო, 2015 წელი.

№143 (7788)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვები სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

რომის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი

ნონა მიხელიძე:

უმჯობესი იქნება, თუ ბერუჩაშვილი, აბაშიძე და ზაქარეიშვილი შეთანხმებულ განცხადებებს მაინც გააკეთებენ!

4

ღალატი არავის უნდა ეპატიოს!

3

ვიდრე ქადაგიძე და მისი გუნდი არ შეიცვლება, ქართულ ლარს ვერაფერი უშველის!

ატლანტიკური საბჭოს წევრი, ექსპერტი

ლევან ალაფიშვილი:

უსაშველოდ განელილი რეფორმები ევროპასთან არ გვაახლოებს

5

ნიკოლოზ დადიანი:

...ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე

6

- საქართველო ნატოს ვარშავის სამიტიდან კონკრეტულ პასუხს ელოდება;
- თბილისი მოსკოვის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდა

8

სულით ძლიერნი

12

- წინასწარმეტყველი ილია თეზბიტელი;
- ილიაობა (ჭავჭავაძე);
- ანგელოზის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა

რამდენით გაიზრდება ელექტროენერგიის საფასური?

„თელასის“ სატარიფო განაცხადზე გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადად 2015 წლის 18 დეკემბერი განისაზღვრა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომაზე იქნა მიღებული, სადაც „თელასის“ სატარიფო განაცხადზე საქმის წარმოების დაწყების თაობაზე იმსჯელეს.

კომისიამ წარმოების დაწყების თაობაზე ისჯელა, სემეკ-მა „თელასის“ სატარიფო განაცხადის საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. აღნიშნულ საკითხზე მოსაზრებების წარმოების ბოლო ვადად 31 აგვისტო განისაზღვრა, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მაქსიმალური ვადად – 2015 წლის 18 დეკემბრი.

როგორც საზოგადოებრივმა დამცველმა, ენერგოომბუდსმენმა სალომე ვარდიაშვილმა განაცხადა, ვინაიდან ტარიფების თემა არის მწვავე საკითხი საზოგადოებისთვის, შესაბამისად ენერგოომბუდსმენის აპარატთან იქმნება მრჩეველთა საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ღიაა ყველა დინტერესებული პირისთვის. საკონსულტაციო ჯგუფის ფარგლებში მოხდება ალტერნატიული ვარიანტების განხილვა, რომელსაც შემდეგ გადამუშავებული სახით წარუდგენენ კომისიას. როგორც სალომე ვარდიაშვილმა განაცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე იყო პირველი გამოხმაურება და ახალგაზრდა ფინანსისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა გამოთქვა სურვილი, რომ ჩაერთოს ამ ჯგუფის მუშაობაში.

სხდომას ესწრებოდა „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, რომელმაც განაცხადა, რომ სემეკი არღვევს კანონს საჯაროობის შესახებ, რადგან არ ატყობინებს ხალხს თუ როდის გაიმართება სხდომები. ბაღათურიას თქმით, სემეკი ასევე არ ასახელებს იმას, თუ რამდენით ითხოვს „თელასი“ ტარიფის გაზრდას. ჯონდი ბაღათურიას განცხადებას სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავა გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ საჯაროობის შესახებ ის პრეტენზიას ვერ მიიღებს, რადგან ყველა ინფორმაცია, რაც სხდომებს ეხება, სემეკის ვებგვერდზე არის განთავსებული. როგორც მილორავამ აღნიშნა, ტარიფს აქვს ოთხი კომპონენტი, შესაბამისად ვიდრე კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას, ტარიფის თითოეულ ბლოკთან დაკავშირებით გაიმართება განხილვები, რომელშიც მონაწილეობა შეეძლება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. როგორც მილორავამ აღნიშნა, სემეკი მზადაა საჯარო განხილვებისთვის.

სხდომაზე განცხადება გააკეთა „თელასის“ წარმომადგენელმა მიშა ანთაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომპანიის სატარიფო განაცხადში არ არის მითითებული თუ რამდენით უნდა გაიზარდოს ტარიფი, არამედ მასში გაწერილია ის ხარჯები, ვისი გაწევაც მოუწია „თელასს“ და რაც მოუწევს მომავალში. როგორც „თელასის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, ის მზად არის აქტიურად ითანამშრომლოს სემეკ-თან, რათა მოხდეს ტარიფის გაანგარიშება.

◎ გვწერენ: ჭირი დანახული ჯობს

გვინდა, ბატონმა ბიძინამ გაიგოს, როგორ ატყუებენ პრემიერ-მინისტრს

ბატონი ბიძინა ივანიშვილი თავიდანვე აცხადებდა, ერთი ვინმემ მეწარმეობას შეუშალოს ხელიო, ამის უფლებას არავის არ მივცემთო. არადა, აგერ უკვე გამოაშკარავდა პურპროდუქტების სფეროში მონოპოლიურ გარემოში კვლავ ჩადგომის მსურველთა ძველი ჯგუფი.

აღარ გვინდა იმ საშინელების გახსენება, რაც იყო სააკაშვილის პერიოდში. ერთი ტომარა ფქვილი მაშინ უსაშველოდ გაძვირდა... სამწუხაროდ, დღესაც სახელმწიფო მაღალჩინოსნების ისევ აშკარა ხელშეწყობით ფქვილისა და ხორბლის შემომტანთ თვალდათვალ ატყუებენ და აფერხებენ, თანაც თითქოს ქართული წისქვილების გადარჩენის მიზნით.

ადგილზე კი ამის გამო ერთი ტომარა ფქვილი 37 ლარიდან უკვე 44 ლარამდე ავიდა და, შესაბამისად, პური, ბუნებრივია, გაძვირდება. ნუთუ ამაზე დროულად არ უნდა მოხდეს შესაბამისი რეაქცია? ჩვენმა ქვეყანამ რა, უარი თქვა საბაზრო ეკონომიკაზე და კვლავ მონოპოლიურ ბიზნესს უბრუნდება? ან ეს რანაირი დახმარების მეთოდია? სად არის სამინისტრო, სად არის შესაბამისი სამსახურები, მართლა განუკითხაობაა, მართლა ბნელა?

თემურ კაპანაძე,
გიორგი მუსერიძე, ლაშა კობახიძე.

◎ ინფორმაცია

სტრასბურგის სასამართლომ მირცხულავა გაამართლა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – „მირცხულავა საქართველოს წინააღმდეგ“ განჩინება გამოიტანა.

საქართველოს ყოფილმა ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ ევროპულ სასამართლოს საჩივრით 2004 წლის 1 აპრილს მიმართა.

„სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მომჩივანი, სხვებს შორის, ასაჩივრებდა მის მიმართ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას, რამდენადაც პატიმრობის პერიოდში მას გაეწია არასათანადო მკურნალობა; მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევას, რამდენადაც მისი დაკავება მოხდა უკანონოდ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა შესაბამისი დასაბუთების გარეშე. გარდა ამისა, მომჩივანი მიუთითებდა, რომ საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი განცხადებებით დაარღვია მომჩივნის უდანაშაულობის პრეზუმფცია კონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

2015 წლის 3 აპრილს საქართველოს მთავრობამ აღიარა მომჩივნის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ზემოაღნიშნული მუხლების დარღვევა და მომჩივანს კომპენსაციის სახით ნ 000 ევრო შესთავაზა“, – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, 2015 წლის 6 მაისს მომჩივანი სრულად დაეთანხმა საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებულ წინადადებას.

მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნული დავა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა.

გაიხსნა ახალი სამედიცინო ცენტრი

თბილისში, ვაჟა-ფშაველას №16-ში, სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ახალი სამედიცინო ცენტრი გაიხსნა.

შპს „ჰემოლაინის“ ახალი ცენტრის გახსნას ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, კომპანიის ლიტვის ეროვნული სისხლის ბანკის, იტალიური ბიოპროდუქტების წარმოებაში ლიდერი კომპანია „კედრიონის“ და სლოვაკეთის ერთ-ერთი წამყვანი კომპანია „იმუნას“ ხელმძღვანელები დაესწრნენ.

„კომპანია „ჰემოლაინი“ დაფუძნდა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. ეს არის ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპანია, რომელიც ამზადებს სისხლის ბიოპრეპარატებს. ასეთი პროდუქცია, რაც აქ მზადდება, დიდი რაოდენობით შემოდიოდა იმპორტის სახით და დღეს გვექნება უკვე ადგილობრივი წარმოება. ამ საწარმოში გამოყენებულია ევროპული GPM სტანდარტები. საწარმო შექმნილია სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი კომპანიების გამოცდილების გათვალისწინებით. სახელმწიფო პროგრამამ – „აწარმოე საქართველოში“ „ჰემოლაინი“ დააფინანსა ნაწილობრივ, როგორც არის გათვალისწინებული. ძალიან კარგია, რომ საქართველოში დამზადდება ყველაზე თანამედროვე პრეპარატები, რომლებიც გამოყენებული იქნება, პირველ რიგში, ადგილობრივი მოთხოვნებისთვის და, რა თქმა უნდა, ექსპორტიც არის გათვალისწინებული.

„ჯამური საინვესტიციო ღირებულება 3 375 000 ლარია, იაფი სესხის მოცულობა კი 1 912 500 ლარს შეადგენს“, – აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.

◎ გიჟი მიუშვი ნეგასა...

ახლა მაინც დაიჯერებთ?!

ევროპის შვიდი ფსიქიატრიული კლინიკის სკანდალური დასკვნა და პორნოგრაფიული შინაარსის სამოყვარულო ფილმები სააკაშვილის მონაწილეობით

2006 წელს პოლიტიკურ წრეებში გავრცელდა და შემდეგ პრესაშიც დაიბეჭდა ევროპის შვიდი ავტორიტეტული ფსიქიატრიული კლინიკის დასკვნა სააკაშვილის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ბევრგან დაიწერა, რომ ფსიქიატრებს ამ კვლევის ჩასატარებლად სოლიდური თანხა გადაუხადეს, თუმცა, უცნობია, ვინ იყო დამკვეთი. დასკვნა, რომლის შემდგენლებადაც დასახელდნენ ტონსბერგის (ნორვეგია) ფსიქიატრიული ცენტრი, ოსლოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი, ფინეთის ფსიქიატრიის დეპარტამენტი, კიოლნის ნერვული დაავადებების ცენტრი, ჟენევის ფსიქიატრიის დეპარტამენტი, ვენის ფსიქოანალიზისა და ფსიქოთერაპიის დეპარტამენტი და ამსტერდამის კლინიკური ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, სკანდალურია და მას დამაჯერებლობას მატებს აგვისტოს ომამდე ორი წლით ადრე გაკეთებული პროგნოზი, რომელიც გამართლდა: **„ძალაუფლებისაკენ ლტოლვამ სააკაშვილს შეიძლება დაუკარგოს სიფრთხილე და გადაწყვეტილებები სახიფათო აღმოჩნდეს. მისგან მოსალოდნელია პრობლემების პროვოცირება. მათ შორის, პოლიტიკური და საომარი კონფლიქტიც“.** ევროპელი ფსიქიატრების დასკვნაში არის დიაგნოზი: **„ძლიერი პარანოიდული აშლილობა, ისტერიულობა და ნარცისიზმის კომპლექსი“.** ევროპელმა ფსიქიატრებმა სააკაშვილის პიროვნების ფსიქოლოგიური კვლევა მისი ბავშვობით დაიწყეს და სწორედ იქ იპოვეს იმ გადახრების მიზეზი, რაც დიაგნოზში აისახა. **„რადგან სააკაშვილის მშობლები ერთად არ ცხოვრობდნენ, ბავშვი დედას მიეჯაჭვა და პატარაობისას მიღებული ემოციური ტრავმის გამო, რომელიც მამას უკავშირდებოდა, აგრესიულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მამინაცვალთან, თანატოლებისგანაც გარიყული აღმოჩნდა. ჩაკეტილი ბიჭი იყო და უჭირდა კლასელებთან ურთიერთობა. თუმცა, მაღალ კლასებში ის სკოლის თეატრალურ წრეშიც იყო და წარმოდგენებშიც მონაწილეობდა. თეატრით გატაცებულმა მოზარდებმა სამოყვარულო ფილმების (მათ შორის პორნოგრაფიული შინაარსის) გადაღება დაიწყეს, რასაც სკანდალი მოჰყვა და მიხეილ სააკაშვილს თბილისის დატოვება მოუხდა. ის კიევში წავიდა სასწავლებლად, მაგრამ მორიგი სკანდალის (ინტიმური შეხვედრებისთვის თანაკურსელები მის ბინაში იკრიბებოდნენ) შემდეგ კომკავშირიდან გარიცხეს და ხმაური რომ ჩამცხრალიყო, ჯარში წავიდა... სააკაშვილი არის შინაგანად დაძაბული, ნევროზული, ეჭვიანი და ემოციურად გაუწონასწორებელი. მისი ჟესტიკულაცია, სიარულის მანერა და აღნაგობა ნორმებიდან ამოვარდნილია. უჭირს მობილიზება, თავისი გამოსვლების სწორად ორგანიზება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არასასურველ კითხვებს უსვამენ. ამ დროს იბნევა, ვრცელ, არაფრისმთქმელ ფრაზებს იშველიებს, რომლებიც შორს არის პასუხისგან. ერთი თემიდან მეორეზე გადადის. ამით ცდილობს ოპონენტის მოგერიებას და დაბნევას. როგორც ისტერიულ ტიპს, ახასიათებს სპონტანურობა და აქვს შოუმენის ნიჭი. სააკაშვილი იღებს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რისი გაგონებაც სურს. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს განდიდების მანია, მანიაკალური სინდრომი და განცდა, რომ ერთადერთი და განუმეორებელია. რადგან ბავშვობაში ჩამოყალიბებული არასრულფასოვნების კომპლექსისგან გათავისუფლებას ზრდასრულ ასაკში ცდილობდა, ამან გამოიწვია ძალაუფლებისაკენ ლტოლვა. იმდენად არის შეპყრობილი ერთადერთი სურვილით, თავი დაიმკვიდროს „ზემოთ“, რომ ანგარიშს არ უწევს იმ საზოგადოების შეხედულებებს, რომელმაც ის ერთხელ უკვე არ მიიღო და გარიყა. როდესაც ხედავს, რომ სათანადოდ არ აფასებენ, აგრესიული ხდება. ვვარაუდობთ, რომ მომავალში ეს კვლავ გამოიწვევს კონფლიქტს საზოგადოებასთან“.**

ვიდრე ქადაგიძე და მისი გუნდი არ შეიცვლება, ქართულ ლარს ვერაფერი უშველის!

მთავრობის მოლოდინი, რომ ზაფხულის პერიოდში ლარი გამყარდებოდა, ჯერჯერობით არ მართლდება. მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული სეზონი უკვე ძალაში შევიდა და ქვეყანაში უცხოური ვალუტაც შემოედინება, გუშინ 1 დოლარი 2.2792 ლარი ღირდა.

რატომ არ გამართლდა მოლოდინი, რომ ზაფხულში ლარი გამყარდებოდა? — ამ შეკითხვაზე საზოგადოება 20/30-ის წევრმა, მიხეილ დუნდუამ გვიპასუხა: **„ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ ეროვნულმა ბანკმა ვერ გაამართლა იმედები და ვერ შეასრულა დაპირება, რომ რეფინანსირებით ლარის კურსის გაუარესებას არ გამოიწვევდა. რეფინანსირების მოცულობის შემცირებას დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა პროცესებზე, მაგრამ ქადაგიძის უწყებამ გაზარდა ბანკების წმინდა დავალიანება ეროვნული ბანკის მიმართ, რითაც ლარის სტაბილიზაცია დააბრკოლა. საბოლოო ჯამში, დღეს, კომერციული ბანკების დავალიანება ეროვნული ბანკის მიმართ სესხის სახით შეადგენს სულ მცირე 680 მილიონ ლარს. შეგახსენებთ, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 80 მილიონი ლარი იყო, ხოლო 2013 წელს, პირიქით, ეროვნულ ბანკს ჰქონდა დავალიანება კომერციული ბანკების მიმართ. თუ შევხედავთ კორელაციას კომერციული ბანკების დავალიანებასა და ლარის კურსს შორის, დაახლოებით 90 პროცენტს მივიღებთ. ამ დონის კორელაცია არ არსებობს მაშინაც კი, როცა ფეხბურთელი პენალტს ურტყამს — მას 90%-იანი ალბათობით გოლი ვერ გააქვს. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს ლარის კურსის დღევანდელ დონეს“.**

მიხეილ დუნდუას შეფასებით, უკვე 9 დღეა რეფინანსირების მაჩვენებელი 1 მილიარდს აჭარბებს, რაც დაუშვებელია: **„კომერციული ბანკების წმინდა დავალიანება ეროვნული ბანკის მიმართ დაახლოებით, 680-700 მილიონის ფარგლებში მერყეობს, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ლარის კურსზე. ქადაგიძე ყველანაირად ცდილობს, დაამუხრუჭოს ლარის სტაბილიზაციის ლოგიკური პროცესი, რასაც ტურისტული სეზონი და სხვა ფაქტორები იწვევს და თუ ქადაგიძე მუდმივად ისეთ კონტრზომებს მიმართავს, როგორსაც ბოლო 9 დღის განმავლობაში ვხედავდით, ბუნებრივია, კვლავაც ხელს შეუშლის ლარის სტაბილიზაციის პროცესს. ამის შესახებ ლაპარაკობენ ყოფილი ჩინოვნიკები და ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი — რომან გოცირიძეც კი, რომელიც მსგავსი პოლიტიკის გატარების გამო ყოველთვის აკრიტიკებდა ეროვნულ ბანკს და ახლაც აკრიტიკებს. როგორც ჩანს, ქადაგიძის უწყებას და ქადაგიძეს არ სურთ ლარის სტაბილიზაცია. მერწმუნეთ, ეს არასწორი პოლიტიკა რომ არა, ლარის კურსი დღეს სტაბილური იძნებოდა.“**

უფრო მწვავედ აფასებს სიტუაციას ანალიტიკოსი ვაჟა კაპანაძე: **„ჩემი ვარაუდით, ეროვნულ ბანკსა და „საქართველოს ბანკს“ შორის არსებობს ალიანსი, რადგან კულუარული ინფორმაციით, ლარის კურსს სავალუტო ჯიხურებში სწორედ „საქართველოს ბანკი“ განსაზღვრავს, ხოლო ოფიციალურად ანუ ბლუმბერგის სისტემის მიხედვით, ეროვნული ბანკი. კაციშვილმა არ იცის, ეროვნული ბანკი შეწონილ კურსს როგორ ანგარიშობს. აბა, როგორ შეიძლება ჩვენს ქვეყანაში დოლარიზაციის კოეფიციენტი იყოს 63? აქ მოთხოვნა-მიწოდებაზე კი არ არის ლაპარაკი, კომერციულ ბანკებს ლარი დოლარებში გადაჰყავთ და სწორედ აქ არის ძალლის თავი დამარხული. რატომ გადაჰყავთ ბანკებს აქტივები დოლარებში? — ეს უკვე ცალკე პრობლემაა. მე კიდევ ერთხელ ვკითხულობ: ვისი ცენტრალური ბანკია ეს — აშშ-ის, თუ საქართველოსი? ან რას მართავს ეროვნული ბანკი ამ ქვეყანაში — დოლარს, თუ ჩვენს ეროვნულ ვალუტას?“**

ვაჟა კაპანაძის თქმით, აქტივების გადატანა უცხოურ ვალუტაში მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს ლარის კურსზე: **„რატომ იქცევიან ამგვარად კომერციული ბანკები? — ჩვენ არ ვიცით და სწორედ ეს არის გამოსაკვლევი და გამოსაძიებელი. არ ვიცი, ეს შეგნებული პროცესია, თუ შეუგნებელი, მაგრამ უფრო მგონია, რომ ეს შეგნებული ქმედებებია. როდესაც ბანკებს აქვთ ლიკვიდურობის პრობლემა ანუ ლარი არა აქვთ, იმის მაგიერ, რომ დოლარი გამოიტანონ და გაყიდონ, პირიქით იქცევიან. საკვირველია, ვიდრე დოლარიზაციის მაჩვენებელი 100 პროცენტს არ მიაღწევს, ვერ გაჩერდებიან?! კანონით აკრძალულია, თორემ ალბათ ხელფასების გაცემასაც დოლარში დაიწყებდნენ. გამოსავალი ამ სიტუაციიდან ეროვნული ბანკის მმართველი გუნდის შეცვლაა ქადაგიძის მეთაურობით, მაგრამ ამისათვის საკმაოდ რთული პროცედურების გავლაა საჭირო. გიორგი ქადაგიძეს თებერვალში კი გასდის ვადა, მაგრამ თებერვლამდე ხომ დროა დარჩენილი?! ვიდრე ქადაგიძე და მისი გუნდი არ შეიცვლება, ეროვნულ ვალუტას არაფერი უშველის.“**

ვაჟა კაპანაძის აზრით, ლარის დღევანდელი კურსი ლოგიკური სულაც არ არის: **„ბავშვების ხელში ჩააგდეს ეროვნული ბანკი, თორემ შუა ზაფხულში, როცა ეკონომიკური აქტივობა მაღალია, მოსახლეობა ქალაქიდან წასულია და არანაირი მოთხოვნა ვალუტაზე არ არის, საიდან მივიღეთ ასეთი კურსი? ქადაგიძე ან დაგვცინის, ან ცდილობს, რომ როგორმე პოლიტიკური სიტუაცია დაძაბოს. სხვა სახელმწიფო სისხლის სამართლის საქმეს აღძრავდა მის წინააღმდეგ, მარტო იმპიჩმენტს კი არ გამოუცხადებდა. სხვათა შორის, მე მოვითხოვე, მოვიწვიოთ პარლამენტის სხდომა, გავხსნათ ყველა მონაცემი და ვნახოთ, როგორ ადგენენ ლარის კურსს ბლუმბერგის სისტემის მიხედვითმეთქი. მართლაც ძალიან საინტერესოა, როგორია არითმეტიკა, რომლითაც საშუალო შეწონილი კურსი გამოჰყავთ — ეს საკითხები შესასწავლი და გასარკვევია.“**

ხათუნა ჩიგოგიძე

პრეზიდენტმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტს ვეტო დაადო

„ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც ეროვნული ბანკისგან საბანკო ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფასა და მის ცალკე სააგენტოდ ჩამოყალიბებას გულისხმობს, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პარლამენტისგან 22 ივლისს მიიღო. პრეზიდენტმა მოტივირებული შენიშვნების მომზადებისა და კონსულტაციებისთვის 10 კალენდარული დღე განსაზღვრა.

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, მომზადდა მოტივირებული შენიშვნების სახით ჩამოყალიბებული კანონპროექტი, რომელიც საბანკო ზედამხედველობის სამსახურის ეროვნული ბანკის შემადგენლობაში დარჩენას გულისხმობს. მთავრობა და საპარლამეტნო უმრავლესობის წარმომადგენლები ვეტოს დადების საფუძველს ვერ ხედავენ. მათი განცხადებით, კანონპროექტის არსებულ რედაქციაში საერთაშორისო ორგანიზაციების შენიშვნები გათვალისწინებულია. ამასთან, როგორც მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, სექტემბერში კანონპროექტში საერთაშიროსო სავალუტო ფონდის მიერ გამოთქმული შენიშვნებიც აისახება.

საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტის სახით შემუშავებული მოტივირებული შენიშვნებით, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა და საზედამხედველო პოლიტიკის ეფექტურობა ძლიერდება. გიორგი მარგველაშვილმა განმარტა, რომ პროექტი საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ევროკავშირთან კონსულტაციის გზით მომზადდა. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ დეპუტატები შინაარსობრივად ჩაულრმავდებიან საკითხს და ქვეყანას სწორ და გაწონასწორებულ კანონმდებლობას მისცემენ.

მარგველაშვილმა ხალხს თავი შეახსენა

ასე ხსნის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების ერთ-ერთი ავტორი თამაზ მეჭიაური პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საკანონმდებლო პაკეტისათვის ვეტოს დადების შესახებ.

როგორც მეჭიაური აცხადებს, პარლამენტი პრეზიდენტის ვეტოს დაძლევს.

„პრეზიდენტისგან ვერ მოვისმინე ვერც ერთი არგუმენტი, თუნდაც ერთი, რომელიც ვეტოს დადების საფუძველს იძლეოდა, გარდა იმისა, რომ მან ხალხს თავი შეახსენა, რომ პრეზიდენტია. კომერციული ბანკების ასოციაციამ ჩვენს მიერ მიღებულ კანონს ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი. მათი რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი გათვალისწინებულია. პრეზიდენტს ჰყავს თავისი არასამთავრობოები, რამდენიმე ბიზნეს წრე, რომლებიც ვის წარმოადგენენ, ხალხის რომელ ფენას, არავინ იცის, ან თვითონ რომელ ამომრჩეველს ეყრდნობა, ეგეც გაურკვეველია. ვინც ის აირჩია, ის ხალხი მიატოვა“, — აცხადებს თამაზ მეჭიაური.

შვიდმა ახალმა მოსამართლემ ფიცი დადო

საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების ფიცის დადების ცერემონია გაიმართა. ფიცი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების წინაშე შვიდმა ახალმა მოსამართლემ დადო.

ახლად გამწესებული მოსამართლეები იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულები არიან. ისინი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კონკურსის საფუძველზე შეარჩია.

მოსამართლეებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მიმართა. ნინო გვენეტაძემ ხაზი გაუსვა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მნიშვნელობას მოსამართლეების მომზადების პროცესში და აღნიშნა, რომ მისასალმებელია, როცა მოსამართლეებად იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები ინიშნებიან. ახლად დანიშნულ მოსამართლეებს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა USAID-ის აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტის USAID-ის პროექტის ექსპერტმა, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა მოსამართლე თიმ ბალანდმა.

არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლები პრემიერთან შეხვედრას ითხოვენ

არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„გვსურს, განვაცხადოთ, რომ ძალაში რჩება ჩვენი მოთხოვნა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შესახებ მარკირების თემასთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ პრემიერ-მინისტრის სახელზე გაგზავნილ წერილზე რეაგირება სწრაფი იყო, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას, თუმცა, მარკირების ორი თვით გადადება პრობლემას არ ხსნის. ჩვენ მიგვაჩნია, და საერთაშორისო გამოცდილებაც ამ საკითხთან დაკავშირებით გვაჩვენებს, რომ არაალკოჰოლური სასმელების მარკირება, როგორც ასეთი, უნდა გაუქმდეს.

შეშფოთებას იწვევს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ არ სურს ამ თემაზე ბიზნეს სექტორთან შეხვედრა და თითქოსდა ჩვენი თხოვნა იყო, რომ პირველ პერიოდში მარკირების ღირებულება სახელმწიფოს გადაეხადა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ განცხადებას, რადგან არასდროს, მოლაპარაკების არც ერთ ეტაპზე მსგავსი რამ არ მოგვითხოვია, რადგან მიგვაჩნია, რომ კიდევ უფრო დიდი დანაშაული იქნება ამ თანხის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უცხოური კომპანიისთვის გადახდა.

აღნიშნული ფაქტი ნათლად გვაჩვენებს, რომ აუცილებელია პრემიერ-მინისტრთან ბიზნესმენების შეხვედრა, რათა ბიზნესს მიეცეს საშუალება არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ არაალკოჰოლური სასმელების სავალდებულო ელექტრონული მარკირების შემოღება დაუშვებელი, არასამართლიანი და არარაციონალურია და იგი ეწინააღმდეგება როგორც ბიზნესის, ისე სახელმწიფოს ინტერესებს“, — ნათქვამია არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უმჯობესი იქნება, თუ ბერუჩაშვილი, აბაშიძე და ზაქარეიშვილი შეთანხმებულ განცხადებებს მაინც გააკეთებენ!

უკრაინის გამო, რუსეთის მიმართ ევროკავშირის პოლიტიკაზე, ასევე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების პერსპექტივებზე გვესაუბრება რომის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი ნონა მიხელიძე

— ძალბატონო ნონა, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის, უკრაინაში რუსეთის დესტრუქციული მოქმედებების გამო რუსეთსა და ევროპას შორის უკიდურესად დაძაბული ვითარებაა. დასავლეთმა რუსეთს საკმაოდ მტკივნეული ეკონომიკური სანქციები დაუწესა, რის გამოც რუსული ეკონომიკა საკმაოდ ბევრს კარგავს. ვიცით, რომ თავიდან ევროკავშირის ქვეყნებში რუსეთთან დაკავშირებით დაბნეულობა, შემდეგ აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ ახლა თითქოს კონსოლიდირებული პოზიციაა შემუშავებული. თქვენ როგორ დაახასიათებდით უკრაინაში მიმდინარე პროცესების გამო ევროკავშირის მიერ რუსეთის მიმართ წარმოებულ პოლიტიკას?

—2014 წელს ყირიმის ანექსიის, კრემლის მიერ უკრაინის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის საპასუხოდ ევროკავშირმა რუსეთს სანქციები დაუწესა. ძირითადი მიზანია, აიძულონ მოსკოვი, გადახედოს თავის აგრესიულ პოლიტიკას და შეაჩეროს ომი აღმოსავლეთ უკრაინაში. სანქციებმა უკვე საკმაოდ დააზარალა რუსეთის ეკონომიკა. მოხდა კაპიტალის გადინება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება და რუსული რუბლის გაუფასურება. თუმცა, ამ გარემოებამ კურსი ვერ შეაცვლევინა პრეზიდენტ პუტინს. ეს არც იყო მოსალოდნელი. სანქციები ნაკლებად იღებს ეფექტს მოკლე დროში. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში იღებს ნაყოფს. ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს შორის ახლა მიმდინარეობს დებატები იმის შესახებ, თუ რამდენად მოქმედებს ეს სადამსჯელო ღონისძიება, რა სახის ეკონომიკურ ზიანს აყენებს რუსეთს და არის თუ არა ეს მეთოდი ეფექტური... დღეს სანქციებს მხარს უჭერს ყველა წევრი-სახელმწიფო და მათ უერთდებიან აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, მონტენეგრო, შვეიცარია, მოლდოვა და, რაღა თქმა უნდა, თავად უკრაინა.

სანქციები გულისხმობს 151 კერძო პირისა და 37 კომპანიის საბანკო ანგარიშების გაყინვას, რიგ შეზღუდვებს რუსეთის უმსხვილესი ბანკებისთვის. მათ შორის „გაზპრომბანკზე“ და „ვნეშბანკზე“, „როსნეფტის“ ჩათვლით, სამ ძირითად ენერგოკომპანიის საქმიანობაზე. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა შეაჩერა ე.წ. პრეფერენცირებული ეკონომიკური სესხების გაცემა რუსეთზე. ამას დაემატა სამხედრო ემბარგო და ინოვაციური ტექნოლოგიის გაზიარების შეწყვეტა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის საქმიანობას არქტიკის რეგიონში და ფიქლის გაზის მოპოვებასთან დაკავშირებულ კვლევებს. რუსეთს დაატოვებინეს „დიდი რვიანი“, შეჩერებულია მოლაპარაკებები უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. რა თქმა უნდა, ევროპაში სანქციებს მოწინააღმდეგენიც ჰყავს. მათი ძირითადი არგუმენტებია: პირველი, ამ მეთოდმა ვერ გაამართლა, რადგან კრემლს პოზიციები არ დაუთმია და აღმოსავლეთ უკრაინაში ომი კვლავაც გრძელდება. მეორე, პუტინის პოპულარობა ზენიტშია და სანქციებმა ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაამყარა, მესამე, ევროკავშირი ამგვარი პოლიტიკით აიძულებს რუსეთს, გაემიჯნოს ევროპას და ფსონი დადოს ჩინეთთან თანამშრომლობაზე.

პირველი არგუმენტის გასაბათილებლად უკვე მოგახსენეთ, — სანქციებს დრო სჭირდება, რათა ნაყოფი გამოიღონ. ალბათ, საყოველთაო უკმაყოფილებას და რევოლუციებს წითელ მოედანზე არ უნდა ველოდოთ. ცვლილება უფრო ვერტიკალშია მოსალოდნელი, როცა ბალანსი დაირღვევა ე.წ. ლიბერალებსა და ძალოვნებს შორის. რაც შეეხება პუტინის პოპულარობას. მოგეხსენებათ, ავტორიტარული რეჟიმების პოპულარობა შიშის სინდრომს უფრო უკავშირდება, ვიდრე რაიმე სახის ერთგულებას პრინციპებისა, თუ „ფასეულობების“ მიმართ. გამოკითხვები ძირითადად სატელეფონო ზარის მეშვეობით ხორციელდება. განა ვინ გაბედავს დღევანდელი რეჟიმის პირობებში სატელეფონო გამოკითხვისას აღიაროს, რომ მხარს არ უჭერს პრეზიდენტ პუტინს?! და ბოლოს, რუსეთ-ჩინეთის ალიანსზე. როგორც ვიცით, სანქციების საპასუხოდ მოსკოვმა გამოაცხადა, რომ პეკინთან ერთად შექმნის ახალ ეკონომიკურ და ფინანსურ სივრცეს. ჯერ კონკრეტული პროექტები უცნობია. ხელი მოეწერა მხოლოდ შეთანხმებას ახალი გაზსადენის აგებაზე, რომლის საშუალებითაც რუსეთი ჩინეთს მიაწვდის გაზს. მოსკოვის მიზანია ევროპული ენერგობაზარი ჩაანაცვლოს ჩინეთით, რაც საკმაოდ არარეალურად გამოიყურება ერთი მარტივი მიზეზის გამო — ჩინეთი არასდროს გადაიხდის გაზის იმ საფასურს, რა ფასშიც დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ყიდულობენ რუსეთისგან. მართლაც, მოსკოვსა და პეკინს შორის დღემდე ვერ ხერხდება ფასზე შეთანხმება.

გარდა ამისა, რუსეთ-ჩინეთის ალიანსის უპერსპექტივობა უკავშირდება ერთ ფსიქოლოგიურ ფაქტორს — იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთი ეკონომიკური გიგანტია, რუსეთი მხოლოდ მის უმცროს პარტნიორად შეიძლება მოიაზრებოდეს. თავისი არასრულფასოვნების კომპლექსიდან გამომდინარე, ამგვარ ამპლუაში ყოფნა კრემლს დიდად არ უნდა ხიბლავდეს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განცხადებები რუსეთ-ჩინეთის დაახლოების შესახებ უფრო რიტორიკაა, ვიდრე რაიმე რეალური პერსპექტივა.

ევროკავშირის მიერ უკრაინის კონფლიქტის მიმართ წარმოებული პოლიტიკის ნაწილია ეკონომიკური დაფინანსება გრანტებისა და სესხების სახით. კრემლის გათვლა საკმაოდ მარტივია — რუსეთმა უნდა გაუძლოს სანქციებს უკრაინის ეკონომიკის კოლაფსამდე. მოსკოვის აზრით, ამგვარი სცენარის განვითარების შემთხვევაში, ევროკავშირი თავად იტყვის უარს უკრაინის დახმარებაზე და იძულებული გახდება გარიგებაზე წავიდეს რუსეთთან. ევროკავშირმა კი ამის საპასუხოდ მოახდინა 3 მილიარდი ევროს მობილიზება უკრაინაში ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად. ამას თან ერთვის 8 მილიარდი ევროს სესხი ევროპის საინვესტიციო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან.

ერთი მხრივ, სანქციებით და, მეორე მხრივ უკრანისთვის ეკონომიკური მხარდაჭერით, ევროკავშირმა ეფექტური პოლიტიკა განახორციელა, მოახდინა ომის ლოკალიზირება დონბასის რეგიონზე და ხელი შეუშალა რუსეთს იერიში მიეტანა მთელს აღმოსავლეთ უკრაინაზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ კრემლს უფრო დიდი ამბიციები ჰქონდა და ლაპარაკი იყო ე.წ. „ნოვოროსიის“ შექმნაზე. ევროპის დედაქალაქებში საუბარია სანქციების გამკაცრებაზეც, იმ შემთხვევაში, თუ პუტინი მარიუპოლზე შეტევას განახორციელებს.

— საფრანგეთის დეპუტატთა 10-კაციანი ჯგუფი ჯერ მოსკოვს, ხოლო შემდეგ ყირიმს სტუმრობდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ არა მარტო სოციალისტები, არამედ სარკოზის პარტიის საკმაოდ გავლენიანი წევრები ტერრი მარინი და ჟაკ მიარი. პირველი პოსტსაბჭოთა სივრცეში ფრანგულ კომპანიებს ლობირებს. ასევე ცნობილია, რომ ევროპის არაერთ ქვეყანაში არსებობენ პოლიტიკური ჯგუფები და მოძრაობები, რომლებიც რუსეთის მიმართ ბრიუსელის პოლიტიკას აპროტესტებენ. მართალია, ეს ჯგუფები არც ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ მათთან მოსკოვი აქტიურად მუშაობს, რისთვისაც საკმაოდ ბევრი რუსული ფული იხარჯება. ფრანგ პარლამენტართა რუსეთის მიმართულებით გააქტიურება რომ შემთხვევითი არაა, ცხადია. რამდენად დიდია ალბათობა, რომ არა მარტო ფრანგი სოციალისტების და მემარჯვენეების მცდელობა და ხმა აღმოჩნდეს გადამწყვეტი რუსეთის მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავებასა თუ კორექტირებაში და შეეხება თუ არა იგი რუსეთის მიმართ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს?

— ფრანგი პოლიტიკოსების ვიზიტი ყირიმში დაგმო ოფიციალურმა პარიზმა. კერძოდ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფაბიუს ლაურენტმა განაცხადა, რომ ამ ვიზიტით ზოგიერთი ფრანგი დეპუტატი პირდაპირ არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. როგორც თქვენ ბრძანებთ, რუსეთი მართლაც აქტიურად ცდილობს, განხეთქილება შეიტანოს ევროპის შიგნით და ერთმანეთს დაუპირისპიროს პოლიტიკური ძალები. ამ მიზნით კრემლი აქტიურად აფინანსებს რიგ მემარჯვენე და პოპულისტურ პარტიებს. მოსკოვი მათთან ურთიერთობით ცდილობს, დაარწმუნოს რუსი ხალხი, რომ მათი ქვეყანა სულაც არ არის იზოლაციაში. ის ფაქტი, რომ ეს ევროპელი პოლიტიკოსები პოპულისტურ და საეჭვო პოლიტიკური პერსპექტივის მქონე დაჯგუფებებს წარმოადგენენ, რუსი აუდიტორიისთვის არგამხელილი რეალობაა. კრემლის დაფინანსება მიიღეს მემარჯვენე რადიკალებმა უნგრეთში, ბულგარეთსა და საბერძნეთში. მოსკოვს საკმაოდ ახლო ურთიერთობები აქვს იტალიის „ლეგა ნორდთან.“ გასულ წელს 9 მილიონი ევრო მიიღო ფრანგმა მარი ლე პენ-მა და მისმა d„ნაციონალურმა ფრონტმა“. ჯერჯერობით არ არსებობს იმის საფრთხე, რომ ეს პოლიტიკური პარტიები თავიანთი ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდნენ. აქედან გამომდინარე, შანსი იმისა, რომ მათ რაიმე ზეგავლენა მოახდინონ სანქციების ბედზე, მცირეა.

— ევროპის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ეფექტურობით არ გამოირჩევა, რუსეთის ზღვარსგადასულ უტიფრობაზე უკრაინასა და საქართველოში ევროპის რეაქცია, ყოველ შემთხვევაში ახლოდან, მთლად ადეკვატურად არ გამოიყურება. ჩვენი გულისთვის ევროპა რუსეთს ომს რომ არ გამოუცხადებს, გასაგებია, მაგრამ შიდა ქართლის სოფელ ხურვალეთში ე.წ. ოსური სასაზღვრო ბანერების დამონტაჟების შემდეგ თბილისში მყოფი ტუსკის განცხადებებიც კი რუსეთის მისამართით სიმკაცრით არ გამოირჩეოდა. ასევე, გაუგებარი იყო პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ „ტუსკი თბილისში რუსეთისთვის თითის დასაქნევად არ ჩამოსულა“. ვითარებაში, როცა კრემლი თბილისისგან საგარეო კურსის შეცვლას ღიად მოითხოვს, სულ მცირე, გაუგებარია როგორც ჩვენი ხელისუფლების, ისე ბრიუსელის რეაქცია. თქვენი აზრი როგორია? რომიდან როგორ ჩანს და იკითხება, ერთი მხრივ, ჩვენი რეალობა, მასზე თბილისისა და ბრიუსელის გამკლავების ტაქტიკა და სტრატეგია?

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ევროპის პოლიტიკა რუსეთის მიმართ არაეფექტურია და ამაზე უკვე ვრცლად ზემოთ მოგახსენეთ. რაც შეეხება ტუსკის განცხადებას „სასაზღვრო ბანერებთან“ დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ის სრულად ემთხვეოდა იმ პოლიტიკურ ტონალობას, რაც საქართველოს მთავრობამ გამოიყენა ამ მოვლენების კომენტირებისას. ტუსკი ვერ და არ იტყოდა იმაზე მეტს, რაც საქართველოს უმაღლეს პირებს, მარგველაშვილსა და ღარიბაშვილს არ უთქვამთ. სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა — „არსებობს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ მიიღო და, სადაც მკაფიოდ და ცალსახად წერია, რომ ოკუპირებული ტერიტორიებია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია“ და ყველა ეს მოქმედებები ჯდება იმ კანონის ფარგლებში,“ ანუ, ჯერ არ არსებობს ამ კანონის დარღვევის მაგალითები“. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ტუსკი შეშფოთების მეტს ვერაფერს გამოხატავდა. თუ ეს ასე არ არის, მაშინ შეკითხვები ქვეყნის შიგნით უნდა დაისვას და პასუხი ევროკავშირს ნაკლებად უნდა მოვთხოვოთ. მეტი სიცხადისთვის, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, თუ ბერუჩაშვილი, აბაშიძე და ზაქარეიშვილი შეთანხმებულ განცხადებებს მაინც გააკეთებდნენ. სხვათა შორის, ეს მხოლოდ ამ ბოლო, ხურვალეთის ინციდენტს არ ეხება.

ორიოდე კვირის წინათ რომში გაიმართა კონფერენცია, სადაც ევროკავშირის წარმომადგენელმა დეტალურად ისაუბრა იმ ახალ სტრატეგიაზე, რომელიც ნოემბერში გამოქვეყნდება. ახალი სტრატეგია იქმნება იმ რიგი მოვლენების გათვალისწინებით, რაც ბოლო ათწლეულში ევროპის სამეზობლოში დატრიალდა. სხვა მწვავე საკითხებთან ერთად, ევროპა გამოწვევად მიიჩნევს რუსეთის აგრესიას მეზობელი ქვეყნების მიმართ და ამას საფრთხედ აფასებს. ევროკავშირი ასევე აღიარებს, რომ უსაფრთხოების საკითხთა გაუარესება აღმოსავლეთ ევროპაში ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას. ახალი სტრატეგიის მიხედვით **ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც ნოემბერში შემუშავდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის, ამ უკანასკნელის ინტერესებზე იქნება მორგებული და არა რუსეთზე.**

— მაინც რჩება შთაბეჭდილება, რომ კრემლმა იცის - ევროპა მოსკოვთან ურთიერთობების გამწვავებაზე არ წავა და იგი ამით სარგებლობს. ამის კარგი მაგალითი გახლავთ 2010 წელს „ეხო მასკვის“ ეთერში საუბარი საქართველოზე. რუსმა პოლიტოლოგმა ლილია შევცოვამ განაცხადა — „რუსეთსა და საქართველოს შორის განვითარებული დრამატული მოვლენები უკავშირდება იმას, რომ მოსკოვსა და თბილისს სხვადასხვა ცივილიზაციური ვექტორები აქვთ. საქართველომ აირჩია ევროპისკენ სტრატეგიული მოძრაობა. საქართველო მე-12 საუკუნის დასაწყისში, აღმაშენებლის დროსაც იყო ევროპულ დისკურსში ჩართული, ევროპამ იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველო ევროპასთან ერთად მონაწილეობ-

და ჯვაროსნულ ომებში. რასაც ახლა რუსეთი საქართველოს სთავაზობს, ძნელია, 21-ე საუკუნის ვექტორი ეწოდოს. ადრე რუსეთი საქართველოსთვის წარმოადგენდა ხიდს ევროპაში, ახლა კი ღობედაა ქცეული." რაზეც შევცოვას ოპონენტმა, ასევე ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა ფიოდორ ლუკიანოვმა ასეთი აზრი გამოთქვა — „რუსეთი ღობეა, მაგრამ რა არის ამ ღობის მიღმა? ევროპას დღეს რაიმე შეუძლია"?

ამგვარი გაურკვეველი ვითარება, სავარაუდოდ, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს?

— როდესაც ლილია შევცოვა ცვილიზაციურ არჩევანზე საუბრობს, ის არ გულისხმობს მხოლოდ გეოპოლიტიკურ ვექტორს, ლაპარაკია ფასეულობათა სისტემაზე. საქართველომ არჩევანი გააკეთა დემოკრატიულ და ავტორიტარულ ფასეულობებს შორის. პირველი წარმოდგენილია ევროპის სახით, მეორე — რუსეთის. „ღობის მიღმა" დგას დემოკრატიული ევროპა, სადაც ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი ფასეულობაა. 21-ე საუკუნის რუსეთი კი, კვლავ რეპრესიების ქვეყანაა. სრულ კონტროლზეა აყვანილი ყველა მედიასაშუალება. მედია თვითცენზურაზეა გადასული და ზოგჯერ მითითებებიც არ სჭირდებათ ზემდგომებისგან. დაიხურა უამრავი ჟურნალ-გაზეთი. ახალი კანონმდებლობით, პროკურატურას მიენიჭა უფლება მედიარეგულატორ „გოსკომნადზორის" საშუალებით დაბლოკოს ყველა ის ვებგვერდი, რომელიც მოუწოდებს მოსახლეობას, მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ საპროტესტო აქციაში. ციხეები სავსეა პოლიტპატიმრებით, სადაც ადამიანის წამება ყოველდღიური მოვლენაა. საწინააღმდეგო აზრის მქონე კერძო პირები თუ არასამთავრებო ორგანიზაციები მოღალატეებად არიან შერაცხილნი. კანონიც კი იქნა მიღებული „უცხოური აგენტების შესახებ", რომელიც უფლებას აძლევს პროკურატურას, სისხლის სამართლის საქმე აღძრას ამა თუ იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ. ამავე კანონით იუსტიციის სამინისტროს მიენიჭა უფლება, დაარეგისტრიროს ორგანიზაციები როგორც „უცხოური აგენტები". რა თქმა უნდა, საუბარია იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც მმართველი კლასის კრიტიკით გამოირჩევიან და აქვეყნებენ პუბლიკაციებს ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე. დღეისათვის რუსეთში „უცხოურ აგენტად" მონათლული 29 ორგანიზაციაა, არაფერს ვამბობ რუსეთში მძვინვარე კორუფციასა და კრიმინალზე. ამ რეალობიდან გამომდინარე, დღეს პრორუსულობა ნიშნავს, დავუახლოვოთ ჩვენი ცხოვრების სტილი და ქვეყნის მართვის კულტურა ზემოაღნიშნულ მანკირებებს. სწორედ ამაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და არა იმაზე, რომ ხსნას ან კონფლიქტების მოგვარებას ვცდილობთ ბრიუსელის ხელით და ამიტომ გავურბივართ რუსეთს. ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაცია ჩვენი ბუნებრივი არჩევანია, რომელიც უკავშირდება ევროპულ ფასეულობებთან ჩვენს სიახლოვეს და მხოლოდ ამის შემდეგ უსაფრთხოების საკითხებს.

ვთქვათ, დავანებეთ თავი ფასეულობებს და, როგორც ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი მიიჩნევს, გავაკეთეთ ე.წ. „პრაგმატული არჩევანი" და თვითგადარჩენის მიზნით ავიღეთ გეზი რუსეთისკენ. სომხეთი მშვენიერი მაგალითია იმისა, ასეთი არჩევანი თუ რამდენად სავალალო შედეგის მომტანია. სომხეთმა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაერთიანებით სრულად დაუქვემდებარა თავისი ეკონომიკა რუსეთის კორუმპირებულ სისტემას, რამაც პროდუქციის ვარდნა და სიღარიბის გამწვავება გამოიწვია. შეღავათების მაგივრად, რუსეთმა სომხეთს გაუძვირა გაზი და ელექტროენერგია, ყოველგვარი ალტერნატიული გაზმომარაგების გარეშე დატოვა, შეისყიდა რა ირანი-სომხეთის გაზსადენი. რუსეთმა ხელში ჩაიგდო მათი რკინიგზა და ტელეკომუნიკაციები. სომხეთის მთავრობა იძულებულია დაკავდეს რუსული კომპანიის ბიზნესინტერესთა ლობირებით. შედეგად ეკონომიკური სისტემა მოიცვა კორუფციამ. სომხური დრამი სრულად მიება რუსულ რუბლს, ამ უკანასკნელის გაუფასურებამ კი სომხური ვალუტის კურსის ვარდნა გამოიწვია. ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების გამო ერევანი იძულებულია აწიოს იმპორტ-ექსპორტის ტარიფები ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობებში, რაც საპასუხოდ თვითბრუნვის შემცირებას გამოიწვევს.

საქართველოს, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების ამბიციის მქონე სახელმწიფოს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება დემოკრატიული ფასეულობების დანერგვა-გაღრმავებაში. საქართველომ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს ამისათვის. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ დემოკრატიულ ინსტიტუტებს ვაშენებთ არა იმ მიზნით, რომ ევროკავშირს „ვასიამოვნოთ", არამედ იმისთვის, რომ უკეთესი მომავალი შევუქმნათ ჩვენსავე მომავალ თაობებს.

და ბოლოს, რუსეთმა აზერბაიჯანთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ის გახდა აზერბაიჯანისთვის პირველი სამხედრო იარაღის მიმწოდებელი. ამგვარად, ფიქრი იმაზე, რომ მოსკოვი რაღაც დათმობებზე წავა აფხაზეთთან ან სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ჩვენი ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების სანაცვლოდ, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილობაა.

რაც შეეხება ექსპერტების მოსაზრებებას, რომ ევროპაში გამოკვეთილი ლიდერის პრობლემაა. ევროპაში ლიდერის არარსებობა შიდა მოუგვარებელ საკითხებთან მიმართებაში უფრო იგრძნობა, ვიდრე ეს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რუსეთმა მისდაუნებურად აიძულა გერმანია გამხდარიყო ლიდერი და მიელო ზომები კრემლის ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. თავის მხრივ გერმანიაც ახალ ამპლუაში აღმოჩნდა და ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელი აქვს ახალი სტრატეგია რუსეთისა და მთელი აღმოსავლეთ ევროპის მიმართ.

ცნობილი ფაქტია, რომ გერმანიამ წლები შეალია რუსეთის მიმართ ე.წ. აღმოსავლეთის პოლიტიკის გატარებას. უკრაინის კრიზისმა კი აჩვენა, რომ ეს პოლიტიკა ილუზიებზე უფრო იყო აგებული, ვიდრე რეალობაზე. ამ პოლიტიკის გათვალისწინებით რუსეთთან ურთიერთობების მამოძრავებელი ძალა ეკონომიკური პარტნიორობა იყო, რასაც ხშირ შემთხვევაში თან ახლდა პოლიტიკური ინტერესების დათმობა. დღეს ეს ტენდენცია იცვლება — გერმანიაში პრიმატი პოლიტიკამ აიღო და ბიზნესს მკაცრად განუმარტეს, რომ მნიშვნელოვანი პრინციპებისა და ფასეულობების დასაცავად, ქვეყანა მზად არის ეკონომიკურ დანაკარგებზე წავიდეს.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თავად აიღო ლიდერის როლი „მინსკი-1" და „მინსკი-2"-ის მოლაპარაკებებზე. სანქციების დაწესება რუსეთზე შესაძლებელი გახდა, რადგან ეს გერმანიამ მოინდომა. სანქციებზე შეთანხმება მოხდა ამერიკასა და გერმანიას შორის, ევროკავშირის დანარჩენი წევრები უბრალოდ დამორჩილდნენ მათ ამ გადაწყვეტილებას. ამიტომაც მგონია, რომ სანქციების ბედი და ზოგადად უკრაინის საკითხი დამოკიდებული იქნება იმაზე, რუსეთთან მიმართებაში თუ რამდენად მყარი იქნება მერკელ-ობამას ალიანსი. ზოგიერთი გერმანელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ გერმანული საზოგადოება „კომპრომისზე" ორიენტირებულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კომპრომისზე წასვლა რუსეთთან თითქმის ტრადიციად იქცა ბოლო 25 წლის განმავლობაში. დღეს უკვე დებატებია იმაზე, რომ ამგვარი მიდგომა მომგებიანი აღარაა, რადგან ის კრემლის მხრიდან სისუსტედ აღიქმება. მერკელი მიხვდა, რომ პუტინთან ურთიერთობაში მეტი სიმკაცრეა საჭირო.

— მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროკავშირთან ასოციირებულ ურთიერთობათა შეთანხმებაზე მოაწერა ხელი, მხარეებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია შესამჩნევად გააქტიურებულია. თქვენ როგორ შეაფასებდით ბრიუსელსა და თბილისს შორის თანამშრომლობას, ამ ურთიერთობებში სადღეისოდ არსებულ დღის წესრიგსა და ორმხრივი გეგმების რეალიზაციის პერსპექტივებსა და ტემპებს?

— კვლავ ევროკავშირის ახალ სტრატეგიას დავუბრუნდები. როგორც მოგახსენეთ, უახლოეს მომავალში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავა. შეიქმნება საქართველოს პრიორიტეტებსა და ინტერესებზე მორგებული დოკუმენტი. დიდი ყურადღება დაეთმობა ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შეთანხმების იმპლემენტაციას. ეს მნიშვნელოვანი სტიმული იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის. რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტებს. საქართველოს, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების ამბიციის მქონე სახელმწიფოს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება დემოკრატიული ფასეულობების დანერგვა-გაღრმავებაში. საქართველომ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს ამისათვის. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ დემოკრატიულ ინსტიტუტებს ვაშენებთ არა იმ მიზნით, რომ ევროკავშირს „ვასიამოვნოთ", არამედ იმისთვის, რომ უკეთესი მომავალი შევუქმნათ ჩვენსავე მომავალ თაობებს.

ესაუბრა
კოტა ბენდელიანი

უსაშველოდ გაწელილი რეფორმები ევროპასთან არ გვაახლოებს

საპარლამენტო ოპოზიცია უკმაყოფილოა პროკურატურის შესახებ კანონპროექტით. რამდენადაც ცნობილია, შენი შვნები აქვს არასამთავრობო სექტორსაც, ცალკეულ საკითხებზე მიმდინარეობს პოლემიკა, გარკვეულ პუნქტებზე შეჯერდნენ. საბოლოოდ მივიღებთ თუ არა მთლიანად, სამართალდამცველი სისტემის რეფორმას, ამ თემაზე ატლანტიკური საბჭოს წევრი ლევან ალაფიშვილი გვესაუბრება.

ლევან ალაფიშვილი: ის, რაც შს სამინისტროში მოხდა, არის მექანიკური ცვლილებები, პროკურატურის შემთხვევაში — განსხვავებული, შეიძლება ითქვას წინ გადადგმული ნაბიჯი საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით, მაგრამ ის, რაც იგეგმება მთლიანობაში, რეფორმას ვერ დავარქმევთ.

— შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ არ არის რეფორმა?

— შს სამინისტროში მხოლოდ მექანიკური ცვლილებები მოხდა, ჩვენ მივიღებთ ორ ინსტიტუტს იმავე ფუნქციებით, რაც დღეს აქვს შს სამინისტროს, რა მაქვს მხედველობაში — გამოძიება, ოპერატიული, სამძებრო და ფარული საქმიანობის უფლება ორივეს აქვს, სამინისტროსაც რჩება და სააგენტოსაც.

მქონდა მოლოდინი და ჩემი პოზიცია იყო, რომ გამოძიების ფუნქცია არ ყოფილიყო შს სამინისტროს, მითუმეტეს, სააგენტოს კომპეტენციაში, არამედ შექმნილიყო ერთიანი საგამოძიებო სამსახური — პროკურატურას, თავდაცვის სამინისტროსა და სასჯელაღსრულებასაც გამოეყოფოდა ეს სამსახურები და ერთიანი საგამოძიებო ორგანო შეიქმნებოდა. მაგრამ, შს სამინისტროსთან მიმართებაში, უბრალოდ, ფუნქციები გაყვეს. ერთი ისაა, რომ უსაფრთხოების სააგენტოს ექნება ანტიკორუფციული მიმართულება.

— ანტიკორუფციული საქმიანობის უფლება კონტექსტიდან ამოგლეჯილი ხომ არ არის ამ შემთხვევაში? დანარჩენი ფუნქციები, რაც სააგენტოს ეკისრება სულ სხვა მიმართულებით საქმიანობას გულისხმობს... ეს იქნება კონტრდაზვერვითი სამუშაოები, შიდა თუ გარე საფრთხეების განსაზღვრა და ა.შ...

— აბსოლუტურად ლეგიტიმური კითხვაა — ვფიქრობ, ანტიკორუფციული ფუნქციის სააგენტოსთვის გადაყოლება ძალიან მარტივი სამართლებრივი ეშმაკობით არის განპირობებული, რომ გამოძიების ფუნქცია გადაჰყოლოდა ამ სამსახურს. ფაქტობრივად, მივიღეთ, რომ 1-1=2.

თუკი შს სამინისტრო პოლიტიკურად მაინც არის მთავრობის ნაწილი და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული, უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელი არ არის მთავრობის წევრი, მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა არის ნული და რაც მთავარია, მისი გათავისუფლება იმპიჩმენტის წესით შეუძლებელია. სააგენტოს ხელმძღვანელი არ არის კონსტიტუციური თანამდებობის პირი. შესაბამისად, იმპიჩმენტს მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუცია ითვალისწინებს მასში მოხსენიებული თანამდებობის პირების მიმართ. რეალური საფრთხის შემთხვევაში, ვერც პრემიერი, ვერც მთავრობა, ვერც პარლამენტი იმპიჩმენტის წესს ვერ გამოიყენებს — ეს თეორიულად, მაგრამ რისკი თუნდაც თეორიულ დონეზე თუკი არსებობს, შესაძლოა, ერთ დღესაც აქტუალური გახდეს.

გარდა ამისა, არსებობს მინიმალური სამოქალაქო კონტროლი. მე ვიყავი ერთ-ერთი, ვინც პროექტის განხილვის დროს ვამბობდი, რომ პარალელურად შექმენით კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც გაძლიერდებოდა პარლამენტში ნდობის ჯგუფის სტრუქტურა თავისი შესაძლებლობებითა და ფუნქციებით. სამწუხაროდ, კონცეპტუალურად დამეთანხმნენ, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა.

შედეგად მივიღეთ ორი ხელოვნურად გაყოფილი სტრუქტურა და არა რეფორმირებული, რომელსაც არ ექნება ეფექტური სამოქალაქო კონტროლი სააგენტოსთან მიმართებაში.

— ეს ყველაფერი გამორჩათ? თუ შეგნებულად დაუშვეს ასეთი ლაფსუსები, რატომ?

— როდესაც საკომიტეტო მოსმენებისას აღვნიშნე, რომ ეს იყო მექანიკური გაყოფა, მიპასუხეს, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯი რეფორმისკენო, მაგრამ შემდეგი ნაბიჯი როდის გადაიდგმება და რა იგეგმება ხვალ და ზეგ, ამ კითხვაზე პასუხი არც განხილვებისას არსებობდა და არც დღეს.

— რაც შეეხება პროკურატურას?

— აქაც მექანიკურია, თუმცა, გაუმჯობესების მომენტი არის მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალიზებული სისტემის პირველი პირის დანიშვნა-გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი არის სისტემური მიდგომა ამ ყველაფრისადმი — კიდევ ვიმეორებ — მნიშვნელოვანია პროკურატურის როლი და ადგილი ამ ახალ სისტემაში. თუკი გამოძიების ერთიან ორგანოდ ფორმირებაზე წავა ხელისუფლება, პროკურატურას უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია დარჩება, ხარისხობრივადაც შეიცვლება მისი საქმიანობა და დანიშნულება — იგი იქნება სახელმწიფო ბრალმდებელი, იგი იქნება სახელმწიფოს ადვოკატი და ჯანსაღი კონკურენცია შეიქმნება გამოძიებასა და სახელმწიფო ბრალდებას შორის, ანუ პროკურატურასა და გამოძიებას შორის. ეს ნიშნავს, რომ უხარისხო გამოძიებას არ წარმართავს სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოში, არ დაუჭერს მას მხარს.

— რეფორმირებული პროკურატურა და შსს როგორ წარმოგიდგენიათ?

— სამომავლოდ პროკურატურა წარმომიდგენია, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ძალიან შეზღუდული, ერთეული შემთხვევების გამოძიების უფლებით, რომელიც შეეხება მაღალი თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს. დანარჩენ საქმეებს წარმართავს საგამოძიებო ორგანო. უსაფრთხოების სამსახურს ექნება კლასიკური სპეცსამსახურის ფუნქციებით აღჭურვილი სისტემა და გვექნება საპოლიციო სისტემა, რომელშიც თავმოყრილია საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე.

ამ მიმართულებით ნაბიჯები უნდა გადაიდგას, მითუმეტეს, როდესაც თვითმმართველობის დამკვიდრებაზე მსჯელობს ჩვენი ხელისუფლება — მე არ ვამბობ, რომ უსაფრთხოების სისტემის დეცენტრალიზებაზე დღესვე უნდა გადავიდეთ, მაგრამ ამაზე საუბრის დაწყება შესაძლებელია.

იხ. 9 გვ.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №240

«...ძვლებიც კი ფიქრობს

— ნიკოლოზ (კოკი) დადიანი

ნიკოლოზ (კოკი) დადიანი, საფრანგეთის პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოღვაწე დაიბადა 1879 წ. სოფ. წყემში (აბაშის რაიონი).

მამა – **ნიკოლოზ ელიზბარის ძე დადიანი** ცნობილი პიროვნება, განათლებული, სიმამაცით და ვაჟკაცობით განთქმული, იყო დასავლეთ საქართველოს ცხენოსანთა რაზმის ხელმძღვანელი, ეპოლეტებჩამორთმეული (ვინაიდან პოლკის კომანდორს, თავხედ რუსს ხელით შეეხო ქართველების უდიერად მოხსენიებისათვის), უეპოლეტებოდაც მამაცურად იბრძოდა.

დედა – **თამარ შარვაშიძე** იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის უფროსი ქალიშვილი.

კოკის გაჩენამდე მის მშობლებს ეღუპებოდათ ვაჟები, ამიტომ (სოფლის წესის თანახმად) მშობლებმა თანხმობა მისცეს მიძას ივანე დადიანს და მის მეუღლეს, აგიაშვილის ქალს აღეზარდათ იგი და კოკი 10 წლამდე იზრდებოდა სოფ. ნოსირში, მიძის ოჯახში. მამა მას არ ახსოვს, ადრე დაეღუპა.

დედა თამარი მას სითბოს და ყურადღებას არ აკლებდა. პატარა კოკის კი ეტყობა მაინც ჰქონდა გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი განცდა (თუმცა თავის გამზრდელებს სიცოცხლის ბოლომდე აიდიალებდა), როდესაც ის თავის მოგონებებში აღნიშნავს: **„დედის სითბო და ალერსი მაინც სულ სხვა არისო“...** პოლონელი ემიგრანტი დომბროვსკი, რომელმაც მას წიგნისა და ადამიანის სიყვარული ჩაუნერგა, **„სულ სოფლის ბიჭებში მათამაშებდაო, – იგონებს კოკი დადიანი, – და მე ვერავითარ განსხვავებას ჩემსა და მათ შორის ვერ ვხედავდი, ვჭიდაობდი, ფეხშიშველა დავრბოდი ცვრიან მოლზე, ლელოც გამქონდა. ვისაც სოფლის ცხოვრება არ უნახავს, ვინც ღელეზე არ გადამხტარა, ჩალის წისქვილი არ გაუკეთებია, ძიძის შვილების ერთგულება არ უგრძნია, ბუხრის წინ ზღაპარი არ მოუსმენია, ვისაც ხალხთან არ უცხოვრია, მან ქართული სინამდვილის არა იცის რა“...**

10 წლის შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში განაგრძობს სწავლას, მაგრამ კურსი არ დაუმთავრებია და როდესაც ეკითხებოდნენ, რატომ არ დაასრულე კურსიო, პასუხობდა: **„მადლობა ღმერთს, რომ დროზე მივანებე და რუს ჩინოვნიკებს თქვენსავით არ გამოვალაყებინე თავიო“.**

სრულიად ახალგაზრდამ, 17 წლისამ, ჯვარი დაიწერა ნინო მიქელაძეზე, ეყოლათ 5 შვილი. ნინო მიქელაძე 1905 წ. გარდაიცვალა და შემდეგ, 1911 წელს ქორწინდება მერი სვიმონის ასულ წერეთელზე, მათ სამი შვილი შეეძინათ.

კოკი დადიანი 20 წლისაც არ იყო, როდესაც აირჩიეს თავადაზნაურთა მარშლად. კავკასიაში მოღვაწე რუსი ჩინოვნიკების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი რამდენჯერმე იქნა დასახელებული და თავად-აზნაურთა კატეგორიული მოთხოვნით იძულებული გახდნენ დაემტკიცებინათ მათთვის არასასურველი კანდიდატურა. ქართველი საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ამ ფაქტს. მხცოვანმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ გიორგი აგიაშვილმა გულთბილი სიტყვით მიმართა: **„...შენ დღეს ისეთი პატივი მოგანიჭა თავად-აზნაურობამ, არა თუ შენ, ასეთ ყმაწვილ კაცს, არამედ მამაშენი რომ ცოცხალი იყოს და მიეღო ეს პატივისცემა, ესეც დიდი დასაფასებელი იქნებოდა, მაშასადამე, შენ უმეტეს გმართებს ყოველი ღონე დასდვა ამას შენის მოვალეობის კეთილად აღსრულებისათვის. როგორც სიმართლით და პატიოსნებით, ეგრეთვე თავად-აზნაურობისადმი ერთგულებით და კეთილი განწყობით... იმედი მაქვს შენის კარგის ხასიათისა, რომ აღასრულებ ყოველს შენს მოვალეობას შესაფერისად თანამდებობისა და შენი შთამომავლობისა“.**

კოკი დადიანმა გაამართლა თავად-აზნაურთა ნდობა და შემდეგ ექვსჯერ იყო არჩეული ამ საპატიო თანამდებობაზე, 1921 წლამდე.

1904 წ. გაზ. „პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ იანვარ-თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კოკი დადიანის პოლემიკური წერილი რუსი მოხელე ვოსტორგოვის წინააღმდეგ, რომელიც მეფის მთავრობის დავალებით ცდილობდა მეგრული ანბანის შემოღებას და სამეგრელოს ავტონომიზაციას. თავად-აზნაურთა მარშალმა კოკი დადიანმა დამაჯერებელი არგუმენტაციით სამეგრელოს მოსახლეობის სახელით და ცნობილი იურისტის მექი ფაღავას დახმარებით, სასტიკად გაილაშქრა ვოსტორგოვის წინააღმდეგ და ცარიზმის ეს მზაკვრული გეგმა ჩაიშალა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2005 წ. 5 მარტი) გამოქვეყნებულ კოკი დადიანისადმი მიძღვნილ **ნინო ხოფერიას** წერილში ნათქვამია: **„ახალგაზრდა მარშალი კოკი დადიანი ემოციური და, ამავე დროს, მყარი არგუმენტაციით დაუპირისპირდა ვოსტორგოვს... დღეს საქართველოს სხეულის დაშლისა და დაქუცმაცების საშიშ მოლოდინში კიდევ ერთხელ უნდა წავიკითხოთ შორსმჭვრეტელი, გამორჩეული ქართველის კოკი დადიანის წერილები, გავაანალიზოთ მისი შეუვალი არგუმენტები, ესოდენ თანამედროვე და პრობლემატური ჩვენი საზოგადოების ცნობიერებისთვის“.**

კოკი დადიანი 1917 წლამდე იყო ფედერალისტური პარტიის წევრი, ხოლო შემდეგ შევიდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში და სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ამ პარტიის იდეოლოგიისა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მსახურობდა დავით მიქელაძის ასეულში და მთავრობის დამცველ რაზმში. ახლო ურთიერთობა აკავშირებდა გიორგი მაჩაბლის, მიხაკო წერეთლის, ძმები კერესელიძეების და სხვათა მიერ გერმანიაში დაარსებულ „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან“ და გერმანული წყალქვეშა ნავით შემოტანილი იარაღი დიდი რისკის ფასად ინახებოდა მის მამულში, სოფ. ნოსირში. ამ საიდუმლო საქმის შესრულებაში ეხმარებოდნენ იოსებ ქირია, ლავრენტი თორდია (კოკის ძიძიშვილი) და სხვები. როგორც ეროვნულ-დემოკრატიული იდეების გამტარებელი, ეწინააღმდეგებოდა რა მენშევიკურ მთავრობას, შინა პატიმრობაში იმყოფებოდა სოფ. ნოსირში. ამ ამბავმა აღაშფოთა ქართველი საზოგადოება და თბილისიდან ნოსირში ჩავიდნენ მისი მეგობრები: მიხაკო წერეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დავით შალიკაშვილი, გენერალი ფრიდონ წულუკიძე და იგი თავდებით გაათავისუფლეს.

1921 წ. 18 მარტს კოკი დადიანმა ოჯახთან ერთად დატოვა საქართველო, ცხოვრობდა პარიზში, სადაც აქტიურად ჩაება ემიგრანტულ ცხოვრებაში. 10 წლის განმავლობაში იყო წევრი პატრიოტული ეროვნული ორგანიზაციის **„თეთრი გიორგი“,** შემდეგ მოძრაობა **„ქართლოსს“** ჩაუდგა სათავეში. სიცოცხლის ბოლომდე ლიდერობდა მას. ხშირად მეჭდავდა ემიგრანტულ პრესაში ლექსებს, მოგონებებს, წერილებს. საინტერესოა კოკი დადიანის მოგონება ზურაბ აბდუშელიშვილზე, სადაც იგი შეეცადა წარმოეჩინა თავისი დროის მრწყინვალე წარმომადგენელი, ერთ-ერთი ლიდერთაგანი, დიდებული ოჯახის შვილი, უბადლო გარეგნობისა და ძალის მქონე პიროვნება, რომელიც უსამართლოდ იყო შერაცხილი შავრაზმელად. კოკი დადიანმა საკითხის ღრმა ცოდნით და სწორი არგუმენტაციით გააანალიზა ზურაბ აბდუშელიშვილის მოსაზრებანი და ამ ღირსეულ პიროვნებას შეუნარჩუნა ღირსება და სახელი.

მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია კოკი დადიანის შენიშვნები იმ დროს გახმაურებულ ბოროზდინის წიგნზე, რომელიც მოიცავს სამეგრელო-სვანეთის და, ნაწილობრივ, აფხაზეთის ამბებს (1854–1861 წლების პერიოდს). კოკი დადიანი, ოჯახის ტრადიციებიდან გამომდინარე, ნანახისა და გაგონილის საფუძველზე, ისტორიული წყაროების მოშველიებით ცდილობს ჭეშმარიტების დადგენას: **„ბოროზდინი არ არის ღრმად ჩახედული მაშინდელ მდგომარეობაში, – ან არ სურს იყოს, რათა რამე ისეთი არ წამოცდეს, რაც ხელსაყრელი არ იქნება მისთვის, როგორც მეფის მოხელისათვის, კიდევ უფრო ნაკლებ სასარგებლო იმ დროის რუსეთის მთავრობისთვის... ვიკისრე ზოგიერთი შესწორების შეტანა ამ წიგნში. რასაკვირველია, ისტორიის დაწერას არ ვაპირებ, ...მაგრამ ბევრი უდაოდ ნამდვილი და სწორია, ვეცდები არ ავცდე სწორ გზას და, შეძლებისდაგვარად, შემოწმებული ცნობები მოვიხსენიო, იქნებ მომავალში, უფრო საფუძვლიან მკვლევარს, რამეში გამოადგეს ეს უბრალო ცნობები“.** აგრეთვე კოკი დადიანი არ უარყოფს ბოროზდინის მიერ ზოგიერთი საკითხის სწორ შეფასებას.

მაღალ შეფასებას აძლევს აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე კოკი დადიანის შენიშვნებს ბოროზდინის წიგნზე. კოკი დადიანისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში აღნიშნავს, რომ ეს შენიშვნები მნიშვნელოვანია და ღირებული ამ პერიოდზე მომუშავე მეცნიერებისათვის, მათ აუცილებლად უნდა გაეცნონ, გაითვალისწინონ და გააანალიზონ კოკი დადიანის ეს საინტერესო მოსაზრებანი.

გარდა საზოგადოებრივი საქმიანობისა, კოკი დადიანს უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა ეზრუნა რვა შვილის აღზრდასა და განათლებაზე. უნდა ითქვას, რომ თითოეულმა მათგანმა ღირსეულად განვლო რთული და მძიმე ცხოვრების გზა. კოკი დადიანის ძალისხმევით მისი სამი მცირეწლოვანი შვილი, რომელთაც უცხოეთში მიიღეს განათლება, ბრწყინვალედ ფლობდნენ ქართულ ენას და იცნობდნენ საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობას.

კოკი დადიანი წერდა ლექსებს. ზოგი მათგანი გამოქვეყნებულია ემიგრანტულ პრესაში, მის სტრიქონებში იგრძნობა საოცარი სევდა და სულიერი ტკივილი.

ყველა მისი ლექსი გამსჭვალულია ქვეყნის უდიდესი სიყვარულით.

კოკი დადიანი სამშობლოს ბედზე ფიქრით, უსაზღვრო დარდით გარდაიცვალა 1939 წ. 9 აპრილს, აღდგომა დღეს. წირვიდან მოსულმა (მას წირვა-ლოცვა ბავშვობიდანვე უყვარდა, უყვარდა მარტვილის ტაძარში ბიძამისის (მამის ძმის) გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლ დადიანის წირვა-ლოცვის მოსმენა და ამბობდა „განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული, მოკრძალება დამაქვს გულის სიღრმეში ეკლესიისა და სამღვდელოებისაო“), მიიძინა შვილების მოლოდინში, რათა საღამოს სუფრაზე ოჯახთან ერთად ეთქვა „ქრისტე აღსდგა“, მაგრამ მიიძინა სამუდამოდ.

მისი განუხორციელებელი ოცნება იყოო საშობლოსათვის თავდადება, ბრძოლაში სიკვდილი. ამას აღნიშნავს გენერალი შალვა მაღლაკელიძე თავის გამოსათხოვარ სიტყვაში, **„...უყვარდა სამშობლო და ნატრობდა მისთვის ბრძოლას, ვაი რომ, ვერ მოესწრო, როგორც მას სურდა, ბრძოლაში დაელია სული, რადგან სამშობლოსათვის ბრძოლა და სიკვდილი უმაღლესი მოსახვეჭელია! ასე გვიქადაგებდა იგი და მამულისათვის თავის დადებას ასწავლიდა თავის შვილებს, თავის მეგობრებს, ამხანაგებს, ნაცნობებს და თავისი კალმით, უცნობებსაც“...**

კოკი დადიანი დასაფლავებულია ლევილში, საფლავზე, ანდერძის თანახმად, წარწერაა:

„მითხარ შენდობა... და ჩემსა მხარესა,
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა...
სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე,
ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“.

(საქართველოში დარჩენილ ოთხ შვილთაგან მხოლოდ ბაბო დადიანმა, 45 წლის შემდეგ მოინახულა თავისი ახლობლები და მამის საფლავი).

ქართული ემიგრაცია დიდი ტკივილით შეხვდა კოკი დადიანის უდროოდ გარდაცვალების ფაქტს. ჟურნალმა „ქართლოსმა“ 1939 წ. (!19–23) მის ხსოვნას დიდი ადგილი დაუთმო. აღსანიშნავია ვრცელი ხელმოუწერელი ნეკროლოგიც, სიმონ ბერეჟიანის, გენერალ შალვა მაღლაკელიძის, ვიქტორ ნოზაძის გულის ამაჩუყებელი სამგლოვიარო სიტყვები, რომელნიც სრულად წარმოაჩენს კოკი დადიანის პიროვნებას და ღვაწლს.

სიტყვა, თქმული თ-დ ნიკოლოზ (კოკი) დადიანის დაკრძალვაზე

ბატონო კოკი,

ასე მოგმართავდით ხოლმე შენი უმცროსი მეგობრები და ასეთივე მიმართვით მინდა ჩემი და მათი სახელით სამუდამოდ გამოგემშვიდობო.

მშვიდობით, ჩემო ბატონო! ნამდვილო ქართველო ბატონო, ამ სიტყვის ნამდვილი ქართული და მამულიშვილური გაგებით; შთამომავლობით მაღალო, უხვო, თავმდაბალო; ჭირშიაც ბატონო, ლხინშიაც ბატონო!

მოგვშორდი ამა ქვეყნიდან და დღეს, შენთან ერთად უცხო მიწაში ვმარხავთ ჩვენს უდიდეს საუნჯეს; ჩვენს წინაპართა ტრადიციას.

შენ გვყავდი ამ უცხოეთში ჩვენი წარსულის ლამაზი თაობის მემატიანედ.

შენ ეკუთვნოდი იმ თაობას, რომელიც ქართული რასის განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობის გამო გადაურჩა გაპარტახებულ ნასახლარს და ჩვენ თაობამდე მოიტანა ძველი დიდების ოდნავ მბჟუტავი ნაპერწკალი.

წილად გხვდა უძნელესი მოვალეობა: აქ, უცხოეთში წამოგეღო იგი და ჩვენ, შენი მეგობრები, მედნიერი ვართ, რომ მისი სიცოცხლე, სითბო ჩვენც გაგვიზიარე.

შენ კი მოგვშორდი...

„არას გვარგებს ბედზე მდურვა, თუ კი ერთხელ ჩაიარა“-ო, – გიყვარდა ხოლმე შენი ბიძის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილის, გიორგი შარვაშიძის სიტყვები.

ჩვენც გეთანხმებოდით, გულს ვიმაგრებდით, რადგან ასეთია ქართული სიბრძნე ბედთან შებმაში; მაგრამ სავალალო ის არის, რომ ბედი გვღალატობს. ვაი, თუ ბედს უფკრულისაკენ მივყავართ!?

«საქართველოზე»

გიორგი შარვაშიძის თაობის, ამ ძველი ქართული არისტოკრატიზმის შემცვლელი, შენი თაობა იყო; შენი თაობის შემცვლელი ჩვენა ვართ, შენი შვილები და მეგობრები; ჩვენ მოგვდევს ახალი თაობა, რომელიც იქ, ჩვენს გავერანებულ მიწაწყალზე და აქ, უცხოეთში იზრდება მოკლებული ქართულ მუნებას, ქართულ სინამდვილეს და ვაი, თუ დიდ ილიას სიტყვებმა ფუჭად ჩაიაროს: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“-ო.

თუმცა, შენ მუდამ იმედით აღსავსე იყავი: „თქვენ რა გიჭირთ“, – გვეუბნებოდი ხშირად მოხდენილის ღიმილით: „მე უნდა ვიკითხო, თორემ თქვენ უკეთეს საქართველოს იხილავთ“-ო.

ნეტავი დღეევანდელი საქართველო მაინც გენახა, ჩემო მატონო, და შენი საყვარელი ნოსირის ჭის წყალი მაინც დაგელია.

შენი წარსული ცხოვრებიდან აღვნიშნავ ეხლა მხოლოდ ორ ღვაწლს: საქართველოს თავადაზნაურობას არ ახსოვს შენზედ ახალგაზრდა წინამძღოლი. ამით მინდა აღვნიშნო, თუ რამდენი ნდობა და სიყვარული დაგიმსახურებია მათდამი, ვინც თავისი მედი ჩაგაბარა.

შენს მეორე ღვაწლს თვით ჩვენი მტრებიც საქართველოში ვერ მალავენ და იმათ გაზეთებში წამიკითხავს: – ნიკოლოზ დადიანი იყო, რომელმაც გლეხებს მიწები უფასოდ დაურიგაო.

დიდება შენს ხსოვნას, პატივცემულო ქართველო, რათა გყვარებია საქართველო მთლიანი, განურჩევლად წოდებისა, გყვარებია საქართველოს ფუძე, ჩვენი ნოყიერი მიწის შვილი; მუდამ ხალხთან გიცხოვრია, – მეზობლებით და მეგობრებით გარშემორტყმულს; ჭირშიაც მათთან ყოფილხარ და ლხინშიაც.

შენ და შენი მეგობრები, სარგებლობდით რა თქვენი წარჩინებული მდგომარეობით, მუდამ ხალხს ერტყით ფარად:

თქვენ იყავით შემნახველი გაჭირვებულის, ფირალის, პოლიტიკური დევნილის.

ძველი საქართველოს მოტრფიალენი, ახალში გრძნობდით წინსვლას და მუდამ ახალ თაობასთან გქონდათ საქმე. და ამით აიხსნება, ჩემო მატონო, რომ უცხოეთშიაც მათ რიგებში ჩადექი. განზე დგომა არ გიყვარდა და ამით დაამტკიცე კაცობა, „დასტურ“ კაცობა.

მე და შენი უფროსი ვაჟიშვილი, დღეს რომ შენს კუბოსთან სდგას, მაგშვობის მეგობრები ვართ. ერთად ვსწავლობდით ქართულ გიმნაზიაში, ქართული კულტურის თავშესაფარში და ვამაყობთ, რომ ჭაღარა მამამ აქ, უცხოეთში, სიკვდილამდე ჩვენს რიგებში დაჰყო.

შენ გქონდა, ჩემო მატონო, ის რაც ახასიათებდა შენს თაობას: ქართული ინტუიცია და მევრი განსწავლული ვერ მიაგნებს იმას, რასაც შენი ქართული გულის, სულის და ტრადიციის წყალობით უკვე ხელთა გვქონდა.

გსურდა ჩვენი მივიწყებული ზნე-ჩვეულებანი, ადათი, ჩვენთვის, მომდევნო თაობისათვის გადმოგეცა.

ყველაფრისათვის მადლობასა გწირავთ, მატონო კოკი. შენგან ვისწავლეთ უფროს-უმცროსობა, სიტყვა, პასუხი.

რომელი შენი რჩევა-დარიგება ჩამოვსთვალო, დარიგებანი, რომლებიც თან მოსდევდა საქართველოს დასაბამიდან და ამშვენებდა და აფაქიზებდა ქართულ რასას.

ვეცდებით, ჩემო მატონო, შევასრულოთ შენი სურვილი და მომავალსაც გადავცეთ იგი, რათა არ დამახინჯდეს სილამაზე წარსულისა.

ხშირად მოიგონებდი ვახტანგ გურიელის დასაფლავებას და გული მტკივა, რომ სამეგრელოს სამთავროს გვარის მატარებელს, დადიანს, ვერ ვასაფლავებთ დადიანურად.

სეფა უნდა გაგვეშალა, ჩემო ძვირფასო მატონო, შენს საყვარელ ეზოში; ცაცხვების ჩრდილის ქვეშ; საქართველოს ყველა ქალაქიდან, კუთხიდან და სოფლებიდან უნდა მოსულიყვნენ ზარით შენი პატივისმცემელნი, ძიძის-შვილები უნდა გდგომოდენ თავთან, იმათ უნდა დაეტირე; შენი საყვარელი ქართული წირვა და ქართული ძველი გალობა უნდა მოგესმინა უკანასკნელად... მაგრამ, რა ვქნათ, გავიმაგროთ გული და ჩვენ საყვარელ შოთას მივმართოთ:

„სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა, მაგრა ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა“!

შენმა ჭირისუფლებმა და შენმა მეგობრებმა ყველაფრით პატივი გეცით. ალბათ მევრი გამოგვრჩა, ვერ შევასრულეთ ყველაფერი რიგზე, როგორც ამას მოითხოვს ქართული ადათი, მაგრამ შენ გვერდით არ გვყავდი, და ვინ აგვიხსნიდა?... თავსთუმალი გაგისწორეთ, მატონო კოკი, შენი ლამაზი გრძელი ჯიშიანი ხელები გულზე დაგიკრიფეთ, საყვარელი შავი ჩოხა, რომლის განათხოვრება არ გიყვარდა: ამაში უნდა დავიმარხოო, – ჩაგაცვით, ღამესაც გითევდით...

შენს კუბოს ჰფარავს ეროვნული დროშა და იმ ორგანიზაციების, რომლებშიც შენ მოქმედებდი და ქართულად აზროვნებდი: „საქართველო უწინარეს ყოვლისა“, ჩემო მატონო!

დაგტირის მთელი ემიგრაცია გაერთიანებული, ყველა, ვისაც დრო ჰქონდა, მოვიდა თავისი წარსულის და ისტორიის პატივსაცემად.

მთლიანი, ძლიერი საქართველოს მოტრფიალე, ხშირად გამოსთქვამდი სურვილს: „ნეტა ერთი კარგი მეგრული გამაგონაო“. მატონმა სპირიდონმა (კედიამ) და მატონმა ევგენიმ (გეგეჭკორმა) იციან კარგი მეგრულიო“. ისინიც აქ მრძანდებიან, ჩემო მატონო.

ჩვენი სამი წლის დამოუკიდებლობის ემბლემაც, საქართველოს პრეზიდენტიც მოგზრძანდა.

მხცოვანი მოხუცი, ჩვენი წარსულის ნაშთთა მოწმე და აღმწერი, მატონი ექვთიმე თაყაიშვილიც გემშვიდობება.

ყველანი შენთანა ვართ, ვისაც უყვარდი, პატივსა გცემდა.

გუგუს, მამოს, მონდოს და დემნას მაგივრად მათმა ძმამ გიძღვნა ყვავილები.

მაგრამ ყველაზე უფრო სასიხარულოა, რომ ნოსირელებმა მოგიკითხეს, მატონო!

გვირგვინი მოგვართვათ, მატონო კოკი, ნოსირელმა გამსახურდიამ, გამსახურდიების სახელით.

განისვენე მშვიდად, ჩემო მატონო, ცივ აკლდამაში, მსუბუქად გეჩვენოს უცხო მიწა. მალე მოგიწევება გვერდით შენი სიმამრი, აწ განსვენებული მატონი სვიმონი და ჩვენი ქაქუცაც ხომ მეზობლად გყავთ.

საქართველო გაიმარჯვებს, აღსდგება მკვდრეთით, ვით ქრისტე ჯვარცმული და მშობლიურ მიწას დაუბრუნდება ყველა, ვისაც შედმა არგუნა უცხო მიწაში განსვენება. მომავალი საქართველო მიიღებს მათ ტანჯულ ნეშთს დიდი ზეიმით.

ეს დღე იქნება დიდი დღე, დღე – მებრძოლი ემიგრაციისა!

მატონო კოკი, როცა გეთხოვებოდით, გავკადნიერდი და ქილა ამოვიღე შენს საგულედან. მინდა სამახსოვროდ დაგვრჩეს „ქართლოსელებს“.

ქილის დანიშნულება ორგვარია, ეს შენ ამიხსენი: ქართული ჩოხის დამამშვენებელი და ომში გამოსადეგი იარაღი, კაჟის თოფის წამლის სარწყავი.

დღევანდელ არა-რაინდულ ხანაში შენი ქილა თოფის წამლის სარწყავად არ გამოგვადგება, მაგრამ დაგვრჩება მოსაგონებლად იმ ქართველისა, რომელმაც ქართულად – ლამაზად და რაინდულად განვლო წუთისოფელი!“

სვიმონ მერეჟიანი.

მატონი კოკის გარდაცვალების გამო

არაერთი მეგობარი და ამხანაგი მოუტაცნია სიკვდილს, როგორც ომში, ისე აჯანყებებში; ხშირად იყო სიკვდილი დახვრეტებითაც ციხეში; მაგრამ სიკვდილს იქ, მრძოლის ველზე და ციხეშიც ვურიგდებოდით, მიჩვეული ვიყავით და მოველოდით; დღეს თუ არა, ხვალ გვეწვეოდა იგი. თავზარს არ გვცემდა იქ სიკვდილი.

აქ კი, მატონ კოკის გარდაცვალებამ თავზარი დაგვცა. არავინ მოელოდა ასეთ უეცარ და საშინელ ამბავს. უცებ დაგვატყდა იგი და მწუხარედ გაოცებული დავრჩით მისი მოულოდნელობითა და სისასტიკით.

მატონი კოკი იყო სიცოცხლე, სრული სიცოცხლე.

რაა სამოცი წელი, როდესაც სჩქეფს სიცოცხლე ადამიანში! ვინაიდან მატონი კოკი იყო ყმაწვილი გულით, ჭაბუკი სურვილებითა და აღმაფრენით, მტკიცე შეყვარებულის ნებისყოფით, მას უყვარდა სამშობლო და ნატრობდა მისთვის მრძოლას. ვაი, რომ ვერ მოესწრო, როგორც მას სურდა: მრძოლაში დაელია სული, რადგან სამშობლოსათვის მრძოლა და სიკვდილი უმაღლესი მოსახვეჭელია! ასე გვიქადაგებდა იგი და მამულისათვის თავის დადებას ასწავლიდა თავის შვილებს, თავის მეგობრებს, ამხანაგებს, ნაცნობებს და თავისი კალმით უცნობებსაც. მეგობრები და ამხანაგები მას მევრი ჰყავდა: მატონი კოკი იყო მოსიყვარულე, ტკბილი და ფაქიზი. სამშობლოსადმი სიყვარულის ნიადაგზე იგი ადვილად პოულობდა ერთობას სხვებთან და მეგობრობაც იცოდა ნამდვილი.

მეგობრობის ადათი მას წარსულიდან მოჰქონდა, რომელიც ასე ძლიერად უყვარდა და ცდილობდა გადაეცა იგი მომავლისათვისაც. მომავალი და წარსული მის შეგნებაში სინთეზს ჰქმნიდა და თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით ამ ნიადაგზე იდგა და მისთვის იღვწოდა.

მატონი კოკი ეკუთვნოდა დადიანთა იმ სახლს, სადაც ქართული სიტყვისადმი და საქმისადმი სიყვარული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით არის განმტკიცებული. ამ ტრადიციას იგი მისდევდა საქართველოში, სადაც ქართულ საქმეს ემსახურებოდა; მასვე განაგრძობდა აქაც, ემიგრაციის დუხჭირს პირობებში: იგი ქართულ საქმეში აქტიურად მონაწილეობას ღებულობდა კალმითა და საქმით. თავისი მადლიანი კალმით, მშვენიერი სტილით, იგი სწერდა საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე და იცავდა მედგრად საქართველოს დამოუკიდებლობას, და მთელი თავისი მხურვალე სიყვარულით დაჰფოფინებდა და ყვარობდა ქართულ საქმეს, ისე ახალგაზრდულად, ყმაწვილურად... და ანაზდეულად გამოგვეცალა იგი ხელიდან.

თავზარდამცემი იყო მატონი კოკის უეცარი გარდაცვალება...

ჩვენ, დარჩენილთა, მისდა სასახელოდ გვმართებს განვაგრძოთ მისი გზა შეუდრეკელად და მრძოლით მივაღწიოთ იმ მიზანს, რომელსაც იგი უანგაროდ და თავდადებით ემსახურებოდა. მატონი კოკის მიზნის განხორციელება იქნება მისი აღდგომაც!

შალვა მაღლაკელიძე.

მატონი კოკის ხსოვნას

ხსოვნას?!

დავსწერე ეს სიტყვა და გამიკვირდა. განა მოგვშორებია მატონი კოკი და დღეს მის ხსოვნას აღვნიშნავთ? გარდაცვლილა და გამოვემშვიდობებივართ კიდეც?!

გამიკვირდა, ვინაიდან ასეთი გრძნობა არა მაქვს.

ამჟამად მგონია, რომ მ-ნი კოკი აქ არის, ჩვენთანაა!

ასეთი განცდა მაქვს, რადგან მესმის მისი ტკბილი საუბარი; მესმის მისი ნელი ღელვა; ვხედავ მას, როგორ ენთება, როცა სამშობლოზე მაასობს; ვუყურებ მის აღგზნებულ თვალებს; ყურს ვუგდებ ლექსებს, რომელსაც იგი ამბობს; ვდავობთ ვეფხისტყაოსნის ტექსტზე, რომელიც მან ზეპირად იცის; მეკითხება, თუ ეს ადგილი ან ეს ნაწყვეტი ლექსსა რომელ მგოსანს ეკუთვნის; უყვარს ქართული სიტყვა და უყვარს გიორგი შარვაშიძის ლექსები, დაუმეჭდავი ლექსები; თვითონაც სწერს ლექსებს და ხელმოუწერელად მიგზავნის. ვმეჭდავ.

მერმე გამომიტყდება; ჩემი იყო ივიო!

– რატომ ხელში არ მომეცით?

– არა, ასე სჯობდა! თუ მოგეწონებოდა უცნობის ლექსი, ისედაც დამეჭდავდიო!

უყვარს საქართველო გაგიჟებამდე და ხშირად იგონებს გარდავლილ ამბებს; იცის დამატყვევებელი მოთხრობა და ყურს უგდებ დაძაბული; უყვარს თვითეული ქართველი თავდადებული მოღვაწე და ნატრობს თვითონაც მაგალითი გახდეს. ჭაბუკური აღგზნებით იგი მზადაა იხმაროს თავისი ხმალი, აქ რომ აქვს თან. ყმაწვილია თავისი იმედებით; ამხნევებს სხვებსაც; ამაგრებს და ასალკლდევებს ყველას გულში მრძოლის უნარსა და ჟინს; მიიწევს თვით ომის ველზე, და სწუხს, რომ ჯერ კიდევ ჟამი არ მოწეულა, საყვირი არ დაუკრავთ; მალე, მალე დაჰკრავენ ნაღარას და მზად უნდა ვიყოთ, – ერთად უნდა ვიყოთ, მთელი ქართველი ერი ერთად უნდა დაირაზმოს...

და დღეს ვბაასობთ, თუ რა გზით წარემართება მრძოლა, როგორ სჯობია მოვიქცეთ და საით მივმართოთ გეზი.

ამჟამიერი მოვლენანი მას აღელვებენ და გვაღელვებს ჩვენც; მოუთმენლად ელის „ქართლოსის“ გამოცემას და სწუხს, რომ ხშირად ვერ ვმეჭდავთ; ქართული ისტორია, საქართველოს დიდებული წარსული უნდა აღვადგინოთ! უმედურება ყველა ერს დასტეხია თავს; სიგლახეს არავინ ეტრფის; კარგი უნდა გამოვიტანოთ მზეზე, სანიმუშოდ! და აქ მესმის ილიას და აკაკის, ვაჟას და გიორგის ლექსთა ნაწყვეტები – ტრფობა სამშობლოსადმი!

ეძებს ქართულ წიგნებს, კითხულობს მათ გამალებით და დიდის ყურადღებით; არ მოსწონს ბოროზდინის სამეგრელოს აღწერა: – მევრს ამახინჯებს, მევრს სიცრუეს ლაპარაკობს...

– მატონო კოკი, არ შეგიძლიათ დასწეროთ შენიშვნები ბოროზდინის წიგნის შესახებ?

– განა შეეძლებ?! მევრი გამიგონია უფროსი დადიანებისაგან, მევრი თვითონ ვიცი, თუ როგორ მოხდა სამეგრელოს ავტონომიის მოსპობა, მევრიც წამიკითხავს: მაგრამ რომ ვერ შევსძლო ყველაფრის როგორც საჭიროა დალაგება?

ვიცი: თავმდაბალია მატონი კოკი, როგორ არ შეუძლია!

– იქნებ უკეთესი იქნეს, მემუარები დავსწერო?

– რა დროს მემუარებია, მატონო! ჯერ რა დროსია! ჩვენ კიდევ ბრძოლა გვაქვს წინ!

იღიმის თავისი ტკბილი, მომხიბლავი და კეთილი ღიმილით.

იქნებ არა სჯერა, რომ მრძოლა იქნება?

როგორ არა, სჯერა და მისთვის უცემს გული, მას ნატრობს.

გული უცემს?!

მისმა გულმა ხომ შესწყვიტა ცემა?

გარნა მისი გულის ნაამრი მატონობს, მისი გულის გონება გვესაუბრება მისებური ტკბილი და ნაზი საუბარით!

მატონი კოკი დღესაც ჩვენთან არის.

მან მიიძინა მხოლოდ!

ვიკ. ნოზაძე

* * *

ნიკოლოზ (კოკი) დადიანის გარდაცვალებას „ქართლოსის“ გარდა, გამოხმაურებია საქართველოს პოლიტიკური პარტიების გაერთიანებული ორგანო „დამოუკიდებელი საქართველო“ (აპრილი, №156, პარიზი, 1939, გვ. 6–7), რაც მოასწავებს იმ მაღალ ავტორიტეტზე, რომელიც მოპოვებული ჰქონდა განსვენებულს საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიაში – სოციალ-დემოკრატებში, ეროვნულ-დემოკრატებში, სოციალისტ-ფედერალისტებში თუ ესერებში...

●

დიდი დროისა და მანძილის დაშორებით და, საერთოდ, დისტანცირებულად და განაპირებულად, ვეცადე აღმეწერა საკუთარი გაგუის ცხოვრება და დვაწლი. რა თქმა უნდა, მაინც იქნება სტრიქონებში პირადი განწყობილებებიც, მაგრამ ობიექტურობისთვის ოდნავაც არ ამივლია გვერდი, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ამ თვალსაზრისით, მთელი ჩემი ოჯახისთვის მუდამ სანიმუშო იყო კოკი დადიანის პიროვნული მაგალითის ძალა.

თათული დვინიაშვილი

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო ნატოს ვარშავის სამიტიდან კონკრეტულ პასუხს ელოდება

თბილისს იმედი აქვს წევრობის მოქმედებათა გეგმის მიღებისა 2016 წელს

საძართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ საქართველოსთან დაახლოება, უწინარეს ყოვლისა, შედის თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესებში. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, თბილისი ელოდება კონკრეტულ პასუხს ქვეყნის ატლანტიკურ პერსპექტივასთან დაკავშირებით ნატოს ვარშავის სამიტის შედეგების შესაბამისად, რომელიც ერთი წლის შემდეგ გაიმართება.

„ჩვენთვის მაპის მონიჭება გააძლიერებს ნატოს. ნატოს ჩვენ უფრო მეტად ვჭირდებით, ვიდრე იგი ჩვენ, როგორც პოლიტიკური სიგნალი რუსეთისათვის... ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი არჩევანი. ვარშავის სამიტმა 2016 წელს ჩვენ უნდა მოგვცეს კონკრეტული პასუხი. დადგა მომენტი, როდესაც ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ მოლოდინის რეჟიმში... თუ ჩვენ ვერ შევძლებთ მივიღოთ მაპი, ეს არ იქნება საქართველოს დასასრული, მაგრამ იქნება ტრაგიკული“, – განაცხადა ხიდაშელმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუში.

საქართველო მაპის მიღებას ელოდებოდა ჯერ კიდევ უელსის სამიტზე 2014 წლის სექტემბერში, მაგრამ მაშინ ნატომ თბილისს შესთავაზა დაახლოების სხვა ფორმატი – „თანამშრომლობის გაძლიერების“ ღონისძიებათა პაკეტი, რომელიც, ალიანსის ლიდერების თანახმად, დაეხმარება მას წაიწიოს წინ თანამშრომლობაში ალიანსში წევრობისათვის.

ამავე დროს საქართველოს ატლანტიკური მისწრაფებანი მიუღებელია რუსეთისათვის.

მოსკოვი კვლავ გამოვიდა მკაცრი გაფრთხილებით ნატოს გაფართოების წინააღმდეგ აღმოსავლეთისაკენ. ნატოში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსანდრ გრუშკომ 28 ივლისს განაცხადა, რომ „ნებისმიერ პოლიტიკურ თამაშს ნატოს გაფართოების თემის გარშემო საქართველოსა და უკრაინაში თან ახლავს ყველაზე სერიოზული, ყველაზე ღრმა პოლიტიკური შედეგები მთელი ევროპისათვის“.

ზვიად აბაშიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტიდან მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნატოს აქვს გარკვეული ინტერესები საქართველოსადმი, მაინც ალიანსში მონაწილეობას აქვს „სასიცოცხლო მნიშვნელობა“, უწინარეს ყოვლისა, თავად საქართველოსთვის. რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ზემოაღნიშნულ კომენტარებს, ექსპერტის აზრით, ესაა პოლიტიკოსის პოზიცია, რასაც, ანალიტიკოსების შეფასებებისაგან განსხვავებით, შეიძლება ჰქონდეს სხვა მიზნები, ვიდრე მსჯელობის სიზუსტეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე კუჭუხიძე მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის ნატოს აქვს „ეგზისტენციური მნიშვნელობა“, ვინაიდან იგი არის „ერთადერთი საყრდენი“ ქვეყნის უშიშროების დაცვაში, და უმთავრესად რუსეთიდან მომდინარე საფრთხისაგან. თუმცა, ამავე დროს პოლიტოლოგი ამბობს, რომ მაპის მიღების მნიშვნელობა არ უნდა იქნეს გადაჭარბებული, ვინაიდან ნატოსთან საქართველოს ურთიერთობის განვითარების დინამიკა „მეტად პოზიტიურია“, და „მისი სიტყვებით, საქართველო, ფაქტობრივად, „მიდის მაპის გზით, ოღონდ უბრალოდ მას არ უწოდებენ წევრობის მოქმედებათა გეგმას“.

მიუხედავად ნატოს წარმომადგენელთა განცხადებისა, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებენ, ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ალიანსის ბევრი წევრი ანგარიშს უწევს რუსეთის აზრს, და რომ საქართველოს მიერთება ნატოსთან იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება.

Эхо Кавказа

თბილისი მოსკოვის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდა

„საძართველო ექვს ქვეყანასთან ერთად შეუერთდა ევროკავშირის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ“, – ნათქვამია დეკლარაციაში, რომელიც გამოქვეყნდა ევროკომისიის საიტზე. ეს ახალი ამბავი ელვისებურად გაავრცელეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველო შეუერთდა ევროკავშირის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. მინისტრების მოკლე კომენტარებმა კიდევ მეტი დაბნეულობა შეიტანეს საკითხში. მხოლოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ყოფილმა მოადგილემ დავით ზალკანიანმა განმარტა ამ დეკლარაციის არსი, რომელიც აიტაცეს და დაადასტურეს საგარეოპოლიტიკურ უწყებაში მხოლოდ დღის ბოლოს.

„ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები ჩერნოგორია და ალბანეთი, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრები ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია, აგრეთვე უკრაინა და საქართველო უერთდებიან სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ“, – ნათქვამია პრეს-რელიზში, რომელიც წინა დღის გამოქვეყნდა ევროკავშირის საიტზე. იქვე ნათქვამია, რომ სანქციები რუსეთთან დაკავშირებით იმოქმედებს 2016 წლის 31 იანვრამდე.

ეს ცნობა უმალვე გადაბეჭდა მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ, რომლებიც არ გაერკვნენ სიტუაციაში, თუ კერძოდ რომელ სანქციებს შეეხებოდა საკითხი. შედეგად საზოგადოებრიობის ნაწილმა მიიჩნია, რომ საქართველო ბოლოს და ბოლოს მიუერთდა სანქციებს, რისკენაც არაერთგზის მოუწოდებდნენ ზოგიერთი ოპოზიციონერები. ცეცხლს ნავთი დაუმატა რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულმა რუსეთის პრეზიდენტის პრეს-მდივნის დიმიტრი პესკოვის განცხადებამ, რომელმაც არ გამორიცხა საპასუხო ზომები იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც შეუერთდნენ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ.

რეაქციამ მთავრობის მხრიდან აშკარად დაიგვიანა – 15 საათზე მთავრობის სხდომიდან გამოსულმა ევროინტეგრაციის საკითხების მინისტრმა დავით ბაქრაძემ არც განმარტა სიტუაცია.

„რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციასთან დაკავშირებით ერთი წლის წინათ ჩვენ შევუერთდით ევროკავშირის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. ამჟამად ეს სანქციები გაგრძელებულია ერთი წლით. ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობიდან გამომდინარე, ჩვენ შევუერთდით დაპირისპირების ზოგიერთ ღონისძიებას. საუბარი დოკუმენტში არის იმ სანქციებზე, რომლებსაც ჩვენ პირველივე დღიდან შევუერთდით“.

მისი განცხადებიდან გაურკვეველი დარჩა, თუ, კერძოდ, რომელ სანქციებს შეუერთდა საქართველო. საზოგადოდ ცნობილია, რომ ევროკავშირის სიაში ფიგურირებს სამი კომპანია, რომლებიც წარმატებით მუშაობენ საქართველოს ბაზარზე – ესენია ვითიბი ბანკი, ლუკოილი და „როსნეფტი“, და საქართველოს შეერთება სანქციებზე ავტომატურად ნიშნავდა მათი მოქმედების დაბლოკვას.

განმარტებისთვის ჩვენ მივმართეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ყოფილ მოადგილეს დავით ზალკანიანს, რომელმაც განმარტა, რომ არსებობს ევროკავშირის რამდენიმე დეკლარაცია რომლებიც აწესებენ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. პოლიტიკოსი გაკვირვებულია, თუ ხელისუფლებამ დროულად რატომ არ განუმარტა საზოგადოებრიობას, თუ რა სანქციებზეა საუბარი:

„მინდა განვაცხადო, რომ არანაირ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ საქართველო არ მიერთებია. ზემოაღნიშნულ დეკლარაციაში საუბარი არის იმ პროდუქციის იმპორტის დაპირისპირების შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ ყირიმისა და სევასტოპოლის ტერიტორიაზე. ამ ზომებს საქართველო შეუერთდა ერთი წლის წინათ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ეს დეკლარაცია შეეშალათ სხვა რამეში, სადაც საკითხი შეეხება სანქციურ ზომებს რუსეთის საპირისპიროდ უკრაინის აღმოსავლეთში, სადაც საკითხი ეხება უფრო სერიოზულ ზომებს. მათ საქართველო არ მიერთებია. რომ არ დაგვეშვა არაჯანსაღი აჟიოტაჟი, საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა გამოსულიყო უარყოფით, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლება დღემდე დუმს“, – განაცხადა დავით ზალკანიანმა.

საღამოს ხუთი საათისათვის საკითხის უარყოფით, როგორც იქნა, გამოვიდა პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში ზურაბ აბაშიძე, რომელმაც, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ საქართველო შეუერთდა ევროკავშირის იმ სანქციებს, რომლებიც დაკავშირებულია ყირიმსა და სევასტოპოლში წარმოებულ პროდუქციასთან ჯერ კიდევ 2014 წლის ივნისში.

პოლიტოლოგი კორნელი კაკაჩია ამბობს, რომ ხელისუფლების დაყოვნება ამ საკითხში უფრო მეტად დაკავშირებულია რუსეთთან ურთიერთობის დეკლარირებულ ნორმალიზაციასთან. ზოგიერთს მთავრობაში არ სურდა შეგვეხსენებინა რუსეთისათვის, რომ საქართველო მონაწილეობს ყირიმიდან და სევასტოპოლიდან იმპორტების აკრძალვის ღონისძიებებში, დარწმუნებულია ექსპერტი.

„მთავრობის მოქმედებები ცუდად ექვემდებარება ლოგიკას – ერთი მხრივ, მათ სურთ ურთიერთობის ნორმალიზაცია რუსეთთან, მეორე მხრივ, საუბრობენ სანქციებზე მის წინააღმდეგ. ეტყობა, ხელისუფლებას უბრალოდ სურდა „მიეფუჩეჩებინა ეს საკითხი, მაგრამ თემა მოხვდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში“, – აკეთებს დასკვნას პოლიტოლოგი.

18 საათისათვის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ გააკეთა განცხადება, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებს დავით ზალკალიანის ნათქვამს.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ტაიბეიში პროტესტის ასობით მომხრე სტუდენტის თვითმკვლელობის შემდეგ განათლების მინისტრის გადადგომას მოითხოვს

31 ივლისის ღამით ასობით ადამიანი მივიდა განათლების სამინისტროსთან ყვავილებითა და სანთლებით, ისინი მოითხოვდნენ მინისტრის გადადგომას სტუდენტის თვითმკვლელობის და იმ სასწავლო პროგრამებით უკმაყოფილების გამო, რომლებსაც ისინი ზედმეტად „ჩინურცენტრისტულად“ მიიჩნევენ. დაღუპული სტუდენტი ადრე დაკავებული იყო პროტესტის გამო სწავლების პროჩინური პროგრამის წინააღმდეგ.

* * *

აშშ-ის სანქციის ძვეშ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ ფინეთის მოძალაძეები, რომლებიც გაოცებული არიან ამ ამბავთან დაკავშირებით

სანქციის ქვეშ აღმოჩნდნენ ბიზნესმენი და ჰოკეის გუნდის „იოკერიტის“ ერთ-ერთი მფლობელი რომან როტენბერგი, აგრეთვე მეწარმე ქალაქ ლაპეენრანტიდან კაი პაანანენი. სიას ასევე დაუმატეს რუს-ფინელ ბიზნესმენ გენადი ტიმჩენკოს თანამებრძოლთა სახელები, რომლებიც სანქციის ქვეშ უფრო ადრე აღმოჩნდნენ, აგრეთვე რუსი მეწარმე ბორის როტენბერგი.

* * *

იერუსალიმში ორთოდოქსმა ებრაელმა გეი-აღლუმზე ხოცვა-ჟლეტა მოაწყო

დამნაშავემ 6 კაცი დაჭრა, ორმა მათგანმა მიიღო სერიოზული ჭრილობა. მანამდე 3 კვირით ადრე თავდამსხმელი გამოვიდა ციხიდან სადაც იხდიდა სასჯელს ათი წლის წინანდელი ანალოგიური სასჯელისათვის.

* * *

მეცნიერებმა აღმოაჩინეს დედამიწის მსგავსი პლანეტა ჩვენგან „სულ რაღაც“ 21 სინათლის წლის დაშორებით

პლანეტა ND 219134 b ბრუნავს თავისი ვარსკვლავის გლიზე 892-ის გარშემო კისიოპეის თანავარსკვლავედში. პლანეტა მეტად ახლოა ვარსკვლავთან იმისათვის, რომ მასზე შეიძლებოდა ყოფილიყო სიცოცხლე. თუმცა, იგი საინტერესოა იმით, რომ არის ჩვენთან ყველაზე მახლობელი დედამიწის ტიპის პლანეტა.

◎ აქტუალური ინტერვიუ

უსაშველოდ გაწელილი რეფორმები ევროპასთან არ გვაახლოებს

(მეხუთე გვერდიდან) **— პროკურატურის შესახებ კანონპროექტს რომ დავუბრუნდეთ, ამ მიმართულებით არ მივდივართ?**

— ამ მიმართულებით საერთოდ არ არის ნააზრევი, საერთოდ არ არის საუბარი რიგითი გამომძიებლის დამოუკიდებლობის, დაცვისა და ანგარიშვალდებულების გარანტიებზე. ამის სანაცვლოდ აქცენტი კეთდება მხოლოდ ცენტრალურ ფიგურაზე, ანუ იერარქიის თავზე, რომელიც თავის თავში მოიცავს პოლიტიკური კონფლიქტის შექმნის საფრთხეს.

— რას გულისხმობთ?

— მხედველობაში მაქვს დანიშვნის ნაწილი. ე.წ. პროკურორთა საბჭო, რომელიც არჩევითია, ანუ თვითმმართველობითი ფუნქციითაა აღჭურვილი, ახდენს მთავარი პროკურორის ნომინირებას, ანუ — არაპოლიტიკური ხალხი, არაპოლიტიკური ეტიკეტით ახდენს ნომინირებას. კანდიდატი წარედგინება პარლამენტს, უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოში, რომელმაც პოლიტიკური მოტივაციით შეიძლება უარყოს ეს კანდიდატურა.

ნახეთ, რა უპირისპირდება ერთმანეთს — ერთ მხარეს არის პროფესიული და სახელმწიფოებრივი ინტერესი, მეორე მხარეს — ვიწრო პარტიული ინტერესები. თუ არ შეესაბამება ვიწრო პარტიულ ინტერესს და პროკურორთა საბჭოს მიერ ნომინირებული კანდიდატი დაიბლოკა რამდენჯერმე, შესაძლოა, ინსტიტუციონალურ კრიზისში შევიდეთ და საბოლოოდ, პროკურატურა შესაძლოა, პოლიტიკურ თამაშებში აღმოჩნდეს გახვეული.

საბოლოო ჯამში, თუკი მივდივართ ამ სისტემისკენ, პროკურორთა საბჭოს კი არა, სასამართლოს როლი უნდა გამოიკვეთოს იგივე კანონდარღვევასათან მიმართებში. ადამიანთა უფლებების სტანდარტებთანაც რომ ვიყოთ შესაბამისი, მინიმუმ ორი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა, ანუ ბრალდებულის დაცვის უფლება უნდა იყოს გარანტირებული. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ვიდრე საქმე გათავისუფლებამდე მივა, ეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს სასამართლოში და ეს ყველაფერი პირდაპირ კავშირშია ამ მნიშვნელოვანი პირის კანონმორჩილებასთან. სხვა შემთხვევაში ვფიქრობ, რომ სახეზე გვექნება კანონშეუსაბამობა.

საფრთხილო თემაა და ამიტომ ვფიქრობ, ღირს, ერთი კვირა იქნება ეს თუ ერთი თვე, გადავდოთ ეს პროცესი, გავშალოთ ფართო დისკუსია, რა თქმა უნდა, უცხოური რეკომენდაციების გათვალისწინებით და გავაკეთოთ სისტემური რეფორმა, რომელიც შეეხება არა მხოლოდ შს სამინისტროს ან პროკურატურას, არამედ, ყველაფერს ერთად.

შეგახსენებთ, რომ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრე ვერშბოუმ ამ წლის დასაწყისში ატლანტიკური საბჭოს ერთ-ერთ ღონისძიებაზე ხაზგასმით და საგანგებოდ უძღვნა ბრიფინგი ჩვენს ხელისუფლებას — აღნიშნა, რომ ნატო არა მხოლოდ დააკვირდება საქართველოში მიმდინარე მართლმსაჯულების, შს სამინისტროსა და პროკურატურის რეფორმას, არამედ აქტიურად იქნება ჩართული, ანუ სამივე სისტემაზე ერთად იყო საუბარი.

ჩვენმა ხელისუფლებამ კი შექმნა რაღაც ორი კომისია, რომელსაც ერთი სხდომაც კი არ ჩაუტარებია ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობით. თვითონ ნატომ მიუთითა ამ რეფორმის დიდ მნიშვნელობაზე.

— ამ ყველაფერზე ვენეციის კომისია რას ამბობს? — რა შენიშვნებიც გახმაურდა, მაინცდამაინც მკვეთრი არ იყო...

— ინტერპრეტაციები სხვადასხვაგვარი გავრცელდა, მაგრამ ვენეციის კომისიის მუშაობის პრინციპს თუ გადავხედავთ, ის მსჯელობს იმ დოკუმენტზე, რასაც გადაუგზავნი. მაგალითად, თუ დანიშვნის წესს გაუგზავნი, ის მხოლოდ დანიშვნის წესზე იმსჯელებს.

გახსოვთ, ხარვეზების დამდგენი კომისია რომ უნდა შექმნილიყო? — მაშინ ვენეციის კომისია საკმაოდ კატეგორიული იყო და მის დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ კონსტიტუციის შესაბამისად ეს ყველაფერი სასამართლოს პრეროგატივა იყო.

თუ ასეთი ფორმით გაგრძელდა ვენეციის კომისიასთან ურთიერთობა, ჩვენი ხელისუფლების იმიჯი მის თვალში საკმაოდ დაზიანდება. დარწმუნებული უნდა იყოს ხელისუფლება, რომ ვენეციის კომისიასთან კომუნიკაცია გახდება მსჯელობის საგანი ჩვენი ევროპელი კოლეგების მხრიდან.

— როდესაც ოპოზიცია კანონპროექტის გადადებას ითხოვდა, უმრავლესობამ არგუმენტად მოიყვანა, რომ ვიზალიბერალიზაციის ფარგლებში გარკვეულ ვადებში უნდა ჩავეტიოთ. ევროპა რამდენად გაგებით მოეკიდება ამ საკითხის განხილვის გადადებას?

— ჩვენი ევროპელი მეგობრები არ არიან ისეთი მონსტრები, საკუთარ შეცდომასაც თუკი აუხსნი, გაიგებენ. თუ დაანახებ, რომ ცდილობ დაშვებული შეცდომის გამოსწორებას, ამ შემთხვევაშიც ძალიან ლიბერალურები არიან — ისინი მუშაობენ ძალიან მარტივი პრინციპით — თქვენვე თქვით რას გააკეთებთ და რა ვადაში.

გარდა ამისა, საშემფასებლო მისია ჩამოდის ოქტომბერში — ერთი და ორი კვირით გადადება, თუნდაც საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფა, კონფერენციის თუ სამუშაო შეხვედრის მოწყობა, განა რამდენი ხნით გადაწევს საკითხის განხილვას? რიგგარეშე სხდომის მოწვევა არ შეიძლება, რომ მერე კანონი დაჩქარებული წესით მიიღონ? რომ ჩამოვლენ და ნახავენ რეალურად რა გაკეთდა, უფრო მწვავე შეფასებას არ მიიღებენ? **უნდა გვახსოვდეს, რომ უსაშველოდ გაწელილი რეფორმები ევროპასთან არ გვაახლოებს.**

ესაუბრა
ლალი ზირაძიშვილი

საქმე №1/69-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

10 ივლისი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ბექა ღვალაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 22 მაისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ბექა ღვალაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით:

2013 წლის 16 მაისს შპს „ნოვა კრედიტსა” და ბექა ღვალაძეს შორის დაიდო №051390094 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 800 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა — ვადაგადაცილებილი თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მერსედეს-ბენც C 230 კომპრესორი; ტიპი: უნივერსალი; ფერი: ლურჯი 8/8; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1999; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასი) №WDB2020821F838745; სარეგისტრაციო მოწმობა: AV9820198; სარეგისტრაციო ნომერი: FFF778.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ბექა ღვალაძეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ბექა ღვალაძეს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ბექა ღვალაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ბექა ღვალაძე მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ბექა ღვალაძეს (პირადი №35001062702) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ბექა ღვალაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ბექა ღვალაძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 24 აგვისტოს 10:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ბექა ღვალაძის მიმართ.

5. ბექა ღვალაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ თბილისი – 2015

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი

მძლეოსნობა

მძლეოსნობის სტადიონზე ფესტივალის მეოთხე დღეს მედლების მორიგი ხუთი კომპლექტი გათამაშდა. ქართველთაგან ჯილდომდე ცოტა დააკლდა უროს მტყორცნელ ნინო წიქვაძეს, რომელიც საბოლოოდ 59,43 მეტრით მეოთხე ადგილს დასჯერდა. მოთელვისას კუნთის ტრავმა მიიღო დავით ლუკავამ და ფინალში ვერ იასპარეზა, არადა, საკვალიფიკაციო ეტაპზე 400 მეტრზე თარჯებით მესამე იყო. ბადროს ტყორცნაში გია დავითაშვილის ექვსიდან მხოლოდ ერთი ცდა იყო შედეგიანი - 50.50 მეტრი, რამაც მას მე-5 ადგილი მოუტანა.

კვარცხლბეკი

გოგონები

400 მ თარჯებით

1. ვიივი ლეჰიკოინენი (ფინეთი, 57,74),
2. იმან ჟანი (საფრანგეთი, 1.00,57),
3. მარი სკიაჯესტადი (ნორვეგია, 1.01,06).

სიგრძეზე ხტომა

1. მაია ბედრაჩი (სლოვენია, 6.01),
2. კლინტა ბლუსინა (ლატვია, 5.93),
3. ანტონია კოხლი (გერმანია, 5.91).

უროს ტყორცნა

1. ტატიანა რამანოვიჩი (ბელარუსი, 65.96),
2. კიირა ვაანანენი (ფინეთი, 64.24),
3. ეზგი დუნია საიანი (თურქეთი, 61.61),
4. **ნინო წიქვაძე** (საქართველო, 59,43).

ბირთვი

1. მარჰარიტა ლუკაშენკო (უკრაინა, 16.30),
2. ჯესიკა შილდერი (ჰოლანდია, 16.05),
3. ემილი გროსი (გერმანია, 16.00).

სიმაღლეზე ხტომა

1. ეკატერინა პრიხოდკოვა (რუსეთი, 1.80),
2. ჰელენა მაია ნილსონი (შვედეთი, 1.80),
3. სამა ლექი (ირლანდია, 180).

ვაჟები

400 მ თარჯებით

1. სალვადორ პორას კანტონსი (ესპანეთი, 52.52),
2. ვიქტორ ბრასი (ბელგია, 53.63),
3. მარკ-ანტუან საბანი (საფრანგეთი, 53.82).

ბადრო

1. ფერენც არანი (უნგრეთი, 57.45),
2. გიორგოს კონიარაკისი (კვიპროსი, 56.13),
3. კასპერ ვარშავსკი (პოლონეთი, 51.43).
5. **გია დავითაშვილი** (საქართველო, 50.50).

ცურვა

გოგონები

100 მეტრი. ბრასი.

1. ანა ბრუნცელი (შვედეთი, 1.10,66),
2. ტინა ჩელიკი (სლოვენია, 1.11,26),
3. ქეით რობერტსონი (დიდი ბრიტანეთი, 1.11,45).

ვაჟები

400 მეტრი. კომპლექსური.

1. მარტონ ბარტა (უნგრეთი, 4.24,73),
2. ჰუგო დე ოლივეირა (ესპანეთი, 4.24,68),
3. ტანგაი ლასპერი (საფრანგეთი, 4.29,15).

4X400 მეტრი. თავისუფალი ყაიდა.

1. ესპანეთი – 3.38,28,
2. გერმანია – 3.38,41,
3. რუსეთი – 3.39,25.

ველორბოლა

საგზატკეცილო რბოლა

გოგონები

1. ლეტიცია პატერნოსტერი (იტალია),
2. ემა იორგენსენი (დანია),
3. კლარა კოპონი (საფრანგეთი).

ვაჟები

1.სამუელ შტეიგერი (შვეიცარია),
2. მატუშ სტოეკეკი (სლოვაკეთი),
3. ალფრედ რაიტი (დიდი ბრიტანეთი).

ლექსო ცინცაძე

◎ ალალ იყოს!

არის, ასრულდა ოცნება...

გუშინ „ბორჯღალოსანთა“ ქომაგებს დიდი ხნის ოცნება აუსრულდათ –„ვითიბი ბანკის“ ე.წ. „ჩაის სახლის“ ფილიალში (მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 2) ეროვნული ნაკრების ფან-შოპი გაიხსნა.

მაღაზიის გახსნას, რომელშიც ქომაგები შეძლებენ „ბორჯღალოსანთა“ კვართების, ბურთების და ქართული რაგბის სიმბოლიკიანი სხვა ატრიბუტიკის შეძენას, დაესწრნენ ეროვნული ნაკრების მოთამაშეები, რაგბის კავშირის და „ვითიბი ბანკის“ წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ „ბორჯღალოსანთა“ ფან-შოპი ეროვნული ნაკრებისა და საქართველოს რაგბის კავშირის გენერალური სპონსორის „ვითიბი ბანკის“ მხარდაჭერით გაიხსნა.

გიორგი შოთაძე

◎ ავტოსპორტი

...და ნაკვალევს წვიმა შლის

ბელგიურ ტრეკ სპა-ფრანკორშანზე „ლამბორჯინის“ მონო სერია „ბლანპენ“ სუპერ ტროფეოს მეოთხე ეტაპის ორი რბოლა გაიმართა, რომელშიც მოყვარულთა კლასში (სულ სამი კლასია – პროფესიონალები, ნახევრად პროფესიონალები და მოყვარულები) საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მრბოლი შოთა აფხაზავა მონაწილეობდა. მან ორიდან თავის კლასში ერთი რბოლა მოიგო, მეორეში მეოთხე ადგილი დაიკავა და კლასიფიკაციაში ლიდერის პოზიცია განიმტკიცა.

პირველი რბოლა მშრალ ამინდში ჩატარდა. ქართველმა მრბოლმა ის მე-19 პოზიციიდან დაიწყო, თუმცა პირველივე წრეზე სამი პოზიციით წინ წაიწია. ერთსაათიანი რბოლის მსვლელობისას, რომლის დროსაც ტრასაზე ორჯერ გამოვიდა უსაფრთხოების მანქანა, აფხაზავამ აბსოლუტურ კლასიფიკაციაში მე-12 ადგილამდე ამოწევა შეძლო, თუმცა, სამწუხაროდ, ბოლო წუთებზე სამუხრუჭე სისტემა დაუზიანდა და ამის გამო 21-ე ადგილზე დაასრულა ასპარეზობა.

მეორე რბოლა ძლიერი წვიმის აკომპანიმენტით გაიმართა. ამის გამო პირველი 25 წუთი გრძელი პელოტონი უსაფრთხოების მანქანამ ატარა. აფხაზავამ სტარტი მე-16 პოზიციიდან აიღო და პირველივე წრეზე ისევ სამი პოზიციით წაიწია წინ. შუა რბოლისას, როცა პიტლეინი გაიხსნა, ქართველი მრბოლი აბსოლუტურ კლასიფიკაციაში მერვე ადგილამდე დაწინაურდა, თუმცა, მალე თავადაც მოუწია ბოქსში შესვლა და იქიდან დაბრუნებული მე-14 ადგილზე აღმოჩნდა. საბოლოოდ ურთულესი რბოლა, რომლის დროსაც პილოტებს მეტწილად წინ მიმავალი მანქანებისგან დატოვებულ წყლის შხეფებში უწევდათ გზის გაკვლევა, აფხაზავამ მე-12 ადგილზე დაასრულა, თავის კლასში კი გამარჯვება მოიპოვა.

„დისტანციის დასაწყისში მცირე კონტაქტის და წვიმის მიუხედავად, რომელმაც რბოლაზე დიდი გავლენა იქონია, AM კლასში პირველივე წრიდან ლიდერობის შენარჩუნება შევძელი. ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, რადგან ძალიან რთულ პირობებში მოვიპოვე“, – ნარბოლევს განაცხადა აფხაზავამ.

ამგვარად, ოთხი ეტაპის შემდეგ აფხაზავას ანგარიშზე სამი გამარჯვება (მონცა, სილვერსტოუნი და სპა) და ორი მეორე ადგილია (მონცა და სილვერსტოუნი), რითაც 89 ქულა დაუგროვდა და თავის კლასში დამაჯერებლად ლიდერობს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სეზონის წინ

სერია A-ს კალენდარი ცნობილია



იტალიის სერია A-ს 2015-2016 წლების სეზონის კალენდარი ცნობილია. კალჩოს პირველი ტური 22 აგვისტოს გაიმართება. მოქმედი ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსი“ ახალ სეზონს საკუთარ მოედანზე „უდინეზესთან“ მატჩით გახსნის, „მილანი“ ფლორენციაში „ფიორენტინას“ ეწვევა, ხოლო „ინტერი“ „სან სიროზე“ ბერგამოს „ატალანტას“ დაუხვდება. რაც შეეხება ვიცეჩემპიონ „რომას“, დედაქალაქელები ვერონაში ადგილობრივ „ჰელასს“ ესტუმრებიან.

უკვე მეორე ტურში „რომა“ „იუვეს“ მასპინძელი იქნება, ხოლო მესამე ტურში დერბი „დელა მადონინა“ გაიმართება: „ინტერი“ – „მილანი“. რომაული დერბის ხილვა გულშემატკივრებს მე-12 ტურში შეეძლებათ, ხოლო ტურინულის ერთი ტურით ადრე. ასევე მე-12 ტურშია დაგეგმილი „იუვენტუსი“ – „მილანის“ მატჩიც, დიდი იტალიური დერბი კი მერვე ტურში გაიმართება.

იტალიის ჩემპიონატის ბოლო, 38-ე ტური მომავალი წლის 15 მაისს ჩატარდება.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ჩოგბურთის მოამაგე საშა გრეი

ალბათ იცით, მთელი კახეთი რომ შემოიაროთ, ვერსად ნახავთ ელიბოს ღვინისთანა კარგ და ტუჩიდან მოუშორებელ წუწუას. მაგრამ მთელი დუნია რომ შემოიაროთ, ვერსად გადაანყდებით ისეთ უცნაურ და მრავალმხრივ ქალს, როგორიც წარმოშობით ცნობილი რუსი პორნოვარსკვლავი საშა გრეია.

მას შემდეგ, რაც მან საკუთარი გარჯით და სხეულის სხვა პირზე გადაცემით გვარიანი თანხა დააგროვა, განაცხადა, ძველ ხელობას თავს ვანებებ და ქველმოქმედებას ვიწყებო და ასეც იქცევა. თვე არ გავა ისე, ბავშვთა სახლს რომ არ მიაკითხოს და სასამოთხო სასწორის პინაზე სიკეთეების მხარეზე „ტვირთი“ რომ არ დააწყოს. სხვათა შორის, საშა შარშან საქართველოსაც ეწვია და კახეთის პეიზაჟებით აღფრთოვანებული დარჩა. პეიზაჟებს იქით კი რა მოხდა, სამწუხაროდ, ჩვენთვის არაა ცნობილი.

ამ ცოტა ხნის წინათ შევიტყვეთ, რომ საშა გრეი რუსეთის ერთ-ერთ საჩოგბურთო აკადემიას შეუთანხმდა და კორტზე სიარულის მსურველ ღარიბ ბავშვებს ფულს იგი აუნაზღაურებს, რაც, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ამბავია. ასევე შეგახსენებთ, რომ ლამაზმანი უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობას ეუფლება და სულ მალე მისი ფეხების ჰორიზონტალურად აპლაკვანი შესაძლოა აღარავის ახსოვდეს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ნაცნობი სურათი

ვაჟკაცები

რუბენა მთელ ღამეს კოშმარმა გატანჯა. ისიც კი დაესიზმრა თითქოს ამერიკელებმა სირიაში ტერორისტების ბანდას მიაგნეს, რომლის შეწირული მებრძოლი თავადაც იყო.

— ღმერთსა მადლი, გამეღვიძა, — პირჯვარი გადაიწერა რუბენამ, — თორემ ნამდვილად დამხვრეტდნენ. ბოლოს და ბოლოს ამერიკელებისთვის რა მნიშვნელობა აქვს, სიზმარეული კამიკაძე ვიყავი თუ ცხადლივი?

სიზმრისგან დაბორიალებულმა რუბენამ სასწრაფოდ გადაიცვა, წინ საყვარელი შონზო (პუდელი) წაიმძღვარა და თავის საცხოვრებელ კორპუსთან ახლოს მდებარე ბაღში გაისეირნა.

მწველი ივლისისთვის უჩვეულოდ გრილი დილა იდგა, ბაღი სავსე იყო ჯიშიანი ძაღლებით და მათი ელიტა პატრონებით. ის იყო რუბენამ მათთან გასაუბრება მოინდომა, რომ შონზო უცნაურად აცმუკდა, მიწაზე მოწკაპუნე ყურები აიპრიხა და მასზე ბევრად ტანმცირე ბალონკას გამოეკიდა.

ბალონკა ადგილიდან მოწყდა, თვალებზე აფარებული „შოლკა“ გადაიყარა და ბაღს შეუსვენებლად რამდენიმე წრე დაარტყა. გარბოდა ბალონკა და მას თავაწყვეტილი გინებით მისდევდა შონზოც. რბოლა მანამდე გაგრძელდა, ვიდრე ქანცგაწყვეტილები ერთმანეთს არ შეასკდნენ.

ამ შეჯახებაშიც იყო რაღაც მოულოდნელი და რომანტიკული, რაც მათ ღლაბუცსა და უტყვ ალერსში გადაიზარდა.

— რა ჰქვია თქვენს ბალონკას? — ჰკითხა ამ სურათით დატყვევებულმა რუბენამ დათალხულ, როგორღაც შეცბუნებულ ქალბატონს.

— ზორო...

— აა, მე მარტო ჩემი მეგონა ვაჟკაცი, თურმე, თქვენიც ვაჟკაცი ყოფილა! — შეიცხადა რუბენამ.

— ჰო, აქამდე არც შემიმჩნევია მისი დავაჟკაცება, — თქვა მინაზებული ხმით შავოსანმა ქალბატონმა, — ჩანს, სექსოლოგს უნდა გავასინჯო.

— ძაღლებსაც ჰყავთ სექსოლოგი? — გაიკვირა რუბენამ.

— როგორ არა, ეტყობა, აქამდეც უნდა მიმეყვანა.

— რაში სჭირდება?

— რას ამბობთ, ქუჩაში უამრავი ძუკნა დარბის, რამეს რო გადაეყაროს, მერე რა ვქნა?

რუბენამ შიში არ შეიმჩნია, მაგრამ შონზო მაინც დატუქსა და შინ კუდამოძულებული წაათრია.

— არც ბალონკა გაჰყოლია ხალისით შავოსანს.

ერთი კვირის თავზე შონზო და ზორო იმავე ბაღში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მათ კაი შეყვარებულებივით კვლავ აიწყვიტეს, კვლავაც ურტყეს წრეები?

— გყავდათ სექსოლოგთან? — შეაპარა რუბენამ ქალბატონს.

— კი, თუმცა, სჯობდა არ მიმეყვანა, — აუცრემლდა თვალები შავოსანს.

— რა მოხდა, შიდსი ხომ არ აღმოაჩნდა? — შეშინდა რუბენა.

—არა, როგორ გეკადრებათ.

— აბა?

— ჰომოსექსუალობა დაუდგინდა, — გაჭირვებით ამოთქვა ქალმა.

— რას მეუბნებით! — გულწრფელად შეწუხდა რუბენა და უმალ თვალი შონზოსკენ გაექცა.

— თქვენ ნურაფრისა გეშინიათ, — ანუგეშა ქალმა, — ჯერჯერობით თურმე ძაღლების მხოლოდ 15 პროცენტია ჰომოსექსუალი.

— ეგ დღეს, მაგრამ ხვალ რა იქნება?

— ჰო, რა თქმა უნდა, — ამოიოხრა ქალმა, — იმდენი რამ ხდება ამ დუნიაზე, აღარაფერი გამიკვირდება. როდესმე ვიფიქრებდი, რომ ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდებოდა, მაგრამ...

— სულ ამ ევრო-ამერიკასთან ინტეგრაციამ დაგვაგლახავა, — ახსნა რუბენამ.

— ჰო, მაგათ რომ არ დავეღუპე, ზოროს მარტო ჩემს ეზოში იმდენი ვარიანტი ჰქონდა...

— რა ვარიანტი?

— მეზობლები მპირდებოდნენ, ზოროსგან ჯერისა და ჯესის ლეკვები თუ ეყოლებათ, თითოს შენც გაჩუქებთო.

— აფსუს!

— ხომ იცით, ასეთი ძაღლის ნაშიერები ახლა ოქროდ ფასობს, ლეკვებს გავყიდდი და პაწა სულს მოვითქვამდი.

— ბედი არ გინდა! — გულწრფელად უთანაგრძნო რუბენამ.

შავოსანი ქალბატონის ბედმა შინ მისული რუბენაც დაანაღვლიანა, მაგრამ ჯავრი მალევე გადაიყარა, არაფერია, გაიფიქრა მან, როგორც პრესა იუწყება, დღევანდელ მაღალდემოკრატიულ დასავლეთში დემოკრატია ისეთი ტემპებით ვითარდება, რომ პედერასტობის გამო მალე არა მარტო ძაღლების პატრონებს, თავად ძაღლებსაც აღარ შერცხვებათ.

ოტია ჩართოლანი

◎ ინფორმაცია

ზედმეტი ყურადღებით ხალხს ნუ დავაფრთხობთ!

გამნაღმველები თამარ მეფის გამზირზე, „დანიურ სახლთან“ ასაფეთქებელ მოწყობილობას BMW-ს მარკის ავტომობილში ეძებდნენ. მიმდებარე ტერიტორიაზე ისრაელის საელჩო მდებარეობს. საელჩოს თანამშრომლებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ მანქანა, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში თამარ მეფის გამზირზე იდგა, საეჭვო წარმომავლობის იყო.

საელჩოს თანამშრომლებმა გამოიძახეს პატრული, რადგან ამ ტერიტორიაზე შემოსული ყველა მანქანა აღირიცხება და მათ აქვთ ინფორმაცია, რა სანომრე ნიშნის ავტომობილები ჩერდება აქ. გუშინ ღამის 23 საათზე ამ ავტოსადგომზე გაჩერდა BMW-ს მარკის ავტომობილი, რომლის მეპატრონე არც ამ დილით გამოჩნდა. საელჩოს თანამშრომლებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ შესაძლოა, ეს ავტომობილი საეჭვო ყოფილიყო და გამოიძახეს საპატრულო პოლიციისა და გამნაღმვის სამსახურის თანამშრომლები, რომლებმაც მანქანა შეამოწმეს და მასში საეჭვო ვერაფერი შენიშნეს.

პატრულის თანამშრომლებმა მიიყვანეს მანქანის მძღოლი, რომელმაც აღნიშნა, რომ გუშინ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მანქანა სწორედ ამიტომ დატოვა ამ ტერიტორიაზე.

ამასთან, აღნიშნული ფაქტის გამო, დაახლოებით ერთი საათით გადაკეტილი იყო თამარ მეფის ხიდი და მიმდებარე ტერიტორია.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები აგვისტოში

აგვისტოში გეოფიზიკური აქტივობა გაძლიერდება: 2,5-7, 13-18, 22, 23, 26, 29-31 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის გაზრდა, სეისმოაქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.

2 — მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზებში. საალბათოა ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, ნალექები. დაბნეულობამ უყურადღებობამ, ღრუბლებში ნავარდმა შეიძლება მიგვიყვანოს ტრავმებთან. შესაძლებელია შინაგანი შეშფოთება, უძილობა, ტკივილები ზურგში, კუნთებში. უნდა დავიცვათ სიფრთხილე წამლებთან, ალკოჰოლთან, საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებებთან დაკავშირებით. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, სამკურნალო ფიზკულტურა, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

5 — მთვარის შეერთება ურანთან ვერძში. შესაძლებელია გულის რიტმის ვარდნები გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირების დარღვევა, წნევის მკვეთრი ცვლილებები, მხედველობისა და სმენადობის გაუარესება. არ არის გამორიცხული თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, ძილის დარღვევა. რეკომენდებულია დავიცვათ ძილის რეჟიმი. კარგია ვსვათ მეტი სუფთა წყალი, უარი ვთქვათ მოწევაზე, აღმგზნებ სასმელებზე, შოკოლადზე, საკვებზე. ერიდეთ დაცემებს, იყავით ფრთხილად ცეცხლთან და ბასრ საგნებთან, ნუ დაგეგმავთ მნიშვნელოვან საქმეებს, შეიძლება მოხდეს ვითარების მოულოდნელი ცვლილებები.

7 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მერკური ძალწულის ნიშანში გადადის. ხდება ორგანიზმში ყველა რეაქციის თანდათანობითი შენელება, ძალები ეცემა, განწყობილება ფუჭდება იმუნიტეტი სუსტდება. შეიძლება გაჩნდეს ემოციური გაუწონასწორებლობა, სიზარმაცე და პასიურობა, შესაძლებელია ფარისებრი ჯირკვლის, სასუნთქი გზების დაავადებანი, ოსტეოქონდროზის გამწვავება. არ არის გამორიცხული კვებითი მოწამვლა. ერიდეთ სტრესებსა და კონფლიქტებს. შეიძლება ხელი მოკიდოთ საქმეებს, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვებს, ბოლომდე მივიყვანოთ ადრე წამოწყებული საქმეები. სასურველია სრულფასოვანი კვება, სითხის უხვი მიღება.

13 — მთვარის მარსთან შეერთება ლომში, სავსე მთვარის წინა პერიოდი. საალბათოა საკონფლიქტო სიტუაციების გაჩენა, აგრეთვე გაღიზიანება, კომპრომისების სურვილის უქონლობა. არ არის საუკეთესო დღე პარტნიორებთან ურთიერთობის გარკვევისა და მოლაპარაკებისათვის. შესაძლებელია უძილობა, თავის ტკივილები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავება, ტკივილები ზურგში, არტერიული წნევის ვარდნები, ერიდეთ გულს, უარი თქვით სიმძიმეების აწევაზე. სასარგებლოა ძილისა და დასვენების რეჟიმის დაცვა, მსუბუქი გასეირნება.

14 — სავსე მთვარე, მთვარის შეერთება ვენერასთან ლომში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ეს არის ორგანიზმის დასუსტების, იმუნიტეტის დაქვეითების, გულის კუნთზე დიდი დატვირთვის გამწვავების დრო. შესაძლებელია ტკივილები გულის არეში, ატმოსფერული წნევის ვარდნები, შრომისუნარიანობის და ტვინის აქტივობის დაქვეითება, რეაქციის შენელება. არ არის გამორიცხული შარდსადენი სისტემებისა და ცხვირ-ყელის პრობლემები. სავსე მთვარის დღეს რეკომენდებული არ არის წამოვიწყოთ ახალი საქმეები. უნდა მეტი დავისვენოთ, არ გადავიტვირთოთ გონებრივად და ფიზიკურად. კვებაში სასურველია განტვირთვა უარის თქმა ალკოჰოლზე და მძიმე საკვებზე, არ არის სასურველი აცრები და ქირურგიული ოპერაციები. სასარგებლოა სამკურნალო ფიზკულტურა, ბუნებაში გასეირნება.

15 — მთვარის იუპიტერთან შეერთება ძალწულის პირველ გრადუსში. შეიძლება შეინიშნებოდეს გაზრდილი ნერვიულობა, ემოციურობა, უყურადღებობა, შესაძლებელია კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებანი, საკვების გადამუშავების მოშლილობა, პრობლემები ღვიძლთან და ნაღვლის ბუშტთან დაკავშირებით. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, გამოვრიცხოთ სპირტიანი სასმელები, მძიმე და ცხარე საკვები, ვერიდოთ გაციებასა და წყლის აქტიურ პროცედურებს. ხელსაყრელი დროა პროფილაქტიკური დათვალიერებისათვის. სერიოზული მკურნალობის, დასვენების, სპორტული მეცადინეობების დაწყებისათვის.

16 — მთვარის შეერთება მერკურთან ძალწულში. შესაძლებელია ნევროზები, პრობლემები ურთიერთობებში, სურვილი ვაკრიტიკოთ ყველა. შეიძლება გაჩნდეს პრობლემები სასუნთქ ორგანოებთან, ხელებთან და კანთან დაკავშირებით დაიცავით სტრესებისგან ნერვული სისტემა და კუჭი, უარი თქვით მძიმე საკვებზე, ალკოჰოლზე, გონებრივ და ფიზიკურ გადატვირთვებზე. ეცადეთ, მეტი ისეირნოთ. ხელსაყრელი დროა საქმიანი აქტივობისათვის, ინტელექტუალური მუშაობისათვის, სერიოზული მკურნალობისათვის მომზადებისათვის.

22 — მთვარის შეერთება სატურნთან ღრიანკალში, მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. იზრდება ენერგია, ძლიერდება ემოციები, საკვებს ადვილად ვითვისებთ. შესაძლებელია საერთო ნერვიულობა, დავები და კონფლიქტები, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, დიდია ტრავმატიზმის ალბათობა, არ არის გამორიცხული ტკივილები ძვლებსა და სახსრებში. რეკომენდებულია ვაკონტროლოთ ჩვენი ემოციები, ვერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს, დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ აღმგზნებ სასმელებსა და მძიმე საკვებზე, ერიდეთ გაციებას. რეკომენდებული არ არის დავიწყოთ ახალი საქმეები და ურთიერთობათა გარკვევა პარტნიორებთან.

26 — მთვარის შეერთება პლუტონთან. შესაძლებელია ტკივილები კბილებში, სახსრებში, ართროზის, ართრიტის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის გამწვავება. შეიძლება თავი შეგვახსენოს ქვებმა საშარდე და ნაღვლის ბუშტებში. არ არის გამორიცხული ჰემოროი, კუჭის შეკრულობა, კანის დაავადებანი. რეკომენდებულია თავი ავარიდოთ მძიმე ფიზიკურ დატვირთვებს, სიმძიმეების გადატანას, გაცივებას, ავადმყოფი სახსრები სითბოში უნდა გვქონდეს. ცუდად მოფიქრებული საფინანსო ოპერაციები უმჯობესია გადავდოთ.

29 — სავსე მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ძლიერი ემოციური აღგზნება, საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასება. საალბათოა არტერიული წნევის ამაღლება, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, უძილობა, ტკივილები ტერფებში. სასურველია, არ დავნიშნოთ ამ დღისათვის ოპერაცია, დავიცვათ ზომიერება ჭამაში. სასარგებლოა ვარჯიშები, ტერფების მასაჟი, მსუბუქი გასეირნება.

30 — მთვარე-ნეპტუნის შეერთება. მოსალოდნელია ნალექები. შეიძლება შეინიშნებოდეს მიდრეკილება მოუფიქრებელი ქცევებისაკენ, დაბნეულობა და უყურადღებობა, იზრდება ტრავმასაშიში სიტუაციების რისკი. ძლიერდება უძილობა, ტკივილები ტერფებში, სახსრებში და ფეხის კუნთებში, შეშუპება. უნდა დავიცვათ სიფრთხილე წამლებთან, ალკოჰოლთან, შხამიან გაზებთან და სითხეებთან საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებებთან დაკავშირებით, სასარგებლოა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, სამკურნალო ფიზკულტურა, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

◎ სულით ძლიერნი

წინასწარმეტყველი ილია თეზბიტელი ილიობა (ჭავჭავაძე) ანგელოზის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა

2 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ილია თეზბიტელის ხსენების დღეს.

„...დადგა უამი და უფალს წმინდა ილია წინასწარმეტყველი ცოცხლად უნდა აღეტაცებინა ზეცად. ცეცხლოვანი ეტლის გაელვებისთანავე გამოჩნდნენ ცეცხლოვანი რაშები და აღიტაცეს წმინდა ილია ზეცად“.

...აი რა თქვა უფალმა: „შენ ხარ პატიოსნების მკაცრი მსაჯული, კაცთა მოდგმა კი განუწყვეტლივ ცოდავს. ესღა დამრჩენია განგაშოროთ ერთმანეთს, თუ კიდევ დარჩები მათთან, შენგან მოწეული სასჯელით კაცთა მოდგმა ამოწყდება. მე შენ დაგასახელებ ზეცაში უცდოველთა და ანგელოზთა გვერდით. ხოლო ცოდვილებთან მე დავრჩები...

ასე აიტაცა უფალმა ილია და დღესაც ხორციელად ცოცხალია.

ილია თეზბიტელი თაბორის მთაზე იხილეს მოციქულებმა წმინდა მოსესთან ერთად, უფლის ფერისცვალებისას, და მას იხილავენ მორწმუნენი ბოლო ჟამს, ის წმინდა ენუქთან ერთად მოევლინება ცოდვილ ქვეყანას. ამხელენ გამეფებულ ანტიქრისტეს.

* * *

2 აგვისტოს ვდღესასწაულობთ ილია მართლის (ჭავჭავაძე) ხსენებას. ცნობილია, რომ ჭავჭავაძეთა გვარი მოიხსენიება XV საუკუნიდან. ასეთი გვარის წარმომადგენელია საქართველოს „უგვირგვინო მეფე“, „ერის მამა“ წმინდა ილია მართალი. ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში წმინდა ილია მართალმა განაცხადა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან — ენა, მამული, სარწმუნოება...

ილია მართალი იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის.

საგულისხმოა, რომ თეზბიტელობას განსაკუთრებული ელფერი მისცა ილია ჭავჭავაძის მიერ ჩაყრილმა ტრადიციამ, რომელიც ყოველწლიურად 2 აგვისტოს იმართებოდა, თავისი მფარველი წმინდანის — ილია წინასწარმეტყველის სახელის ხსენების დღეს!

ილია მეორეს კი ანგელოზის დღეს ვულოცავთ ამონარიდით ბატონ რეზო ამაშუკელის ლექსიდან:

...ვინ ცრემლს აგროვებს,
ვინ მარგალიტს
და ვინ ბრილიანტს!..
— გათენდება და
მადლი მაინც გადმოვა ციდან!
ვდიოთ მაცხოვარს,
რუდუნებით,
და ორ ილიას!
— ერთს ხატზე წერილს,
მეორეს კი —
ჩვენს ცოცხალ წმინდანს!“

კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

◎ ინფორმაცია

ხანძარი სოფელ დვირში

ბორჯომის სოფელ დვირის წიწვოვან ტყეებში მეხანძრეებმა ხანძრის ლოკალიზება შეძლეს. ამის შესახებ სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა აკაკი მაჭუტიძემ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, ხანძრის ჩასაქრობად მობილიზებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი ვერტმფრენი. მთელი ღამის განმავლობაში ცეცხლის ჩაქრობის სამუშაოებში ასევე 150 ადგილობრივი და თბილისიდან ჩასული მეხანძრე იყო ჩართული.

გუბერნატორის თქმით, ხანძრის დასახლებულ პუნქტებში გავრცელების საფრთხე არ არსებობდა.

„ცეცხლის გამომწვევი მიზეზები უცნობია, მიმდინარეობს ფაქტის გამოძიება. ამ ეტაპზე ხანძრის ლიკვიდაციაზე საუბარი ნაადრევია“, — განაცხადა მაჭუტიძემ.

ცეცხლი ტყის მასივში ხუთშაბათს, დღის მეორე ნახევარში გაჩნდა. ცეცხლი დაახლოებით 6 ჰექტარ ტყის მასივს თანდათან მოედო...

◎ გილოცავთ!

გრიგოლ ყუფარაძეს

85 წლის იუბილარ, დამსახურებულ ინჟინერ-მშენებელს **გრიგოლ ისიდორეს ძე ყუფარაძეს** დაბადების დღის აღსანიშნავ, საზეიმო დღეს ულოცავენ ოჯახის წევრები, დები, ძმები ოჯახებით და შვილიშვილებით. ასევე ულოცავენ უახლოესი ნათესავები, მეგობრები, კოლეგები და ყველა მისი ახლობელი.

უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობას, ჯანმრთელობას და ყოველივე საუკეთესოს.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

◎ შემთხვევა

ტრაგედია მყინვარწვერზე

ორი ჩეხი მთამსვლელი გოგონა ვერტმფრენის დახმარებით ნაპრალიდან ამოიყვანეს. თუმცა, ერთ-ერთ მათგანს თავის არეში ჰქონდა დაზიანებები. ის ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც ექიმები ამბობენ, ის კლინიკაში შეყვანისას უკვე გარდაცვლილი იყო, რის გამოც მისი სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადასვენება მოხდა. მეორე ჩეხი მთამსვლელი გოგონა გუშინ ყაზბეგის რაიონში იმყოფებოდა.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ᲢᲔᲚ: 599 168 171; 598 51 81 35.**

ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲐ...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

— **სადაა სამართალი?! ყველას გეკითხებით — სადაა ქვეყანაზე სამართალი? სად?!**

— **იცით, ჩემო ბატონო, მე კი გეტყოდით, მაგრამ, ერთი პროქტოლოგის თქმისა არ იყოს — ის არც იქ არის!..**

* * *

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ სიბრძნე:

ჩვეულებრივ, დაბადების დღეზე, იუბილარი მხოლოდ 5-10 ჭიქისთვისაა საჭირო...

* * *

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ **იმას ჰქვია, როცა გაღვიძების დრო და გამოძინების დრო ერთმანეთს ემთხვევა.**

* * *

ᲗᲣ **ორშაბათს სამსახურში მისული კაცი მაშინვე მუშაობას იწყებს, მაშასადამე, უქმეებზე მან წესიერად დასვენება ვერ შეძლო...**

* * *

ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ **ლოთების — ვოდკინების ოჯახში ბავშვი დაიბადა, რომელიც წვეთ ალკოჰოლს არ სვამს. მთელი ოჯახი შოკშია: ვოდკინების დინასტიას გადაგვარება ემუქრება.**

* * *

— ᲘᲪᲘ, ჟორია, მეცნიერებმა ჩასახვის ახალი ხერხი გამოიგონეს.

— კი მაგრამ, ძველი მეთოდი ვითომ რეიზა არ მოსწონდათ?!.

* * *

— ᲡᲣᲚᲔᲚᲘ **ვარ, ჩემო ბიჭიკო, ნამდვილი სულელი, ცოლი რამ მომაყვანინა, ნეტავ!.. — შესჩივლა ახალდაქორწინებულმა ძმაკაცს.**

— რა იყო, ბიჭო, რაშია საქმე?

— რაში ძამიკო და მთვრალი რომ ვარ, ცოლი დასანახად ვერ მიტანს, მე კი დიდევ მაგას, როცა ფხიზელი ვარ!

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ



ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
293-37-87; 599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 599 56-81-86;
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ